საერთო გაზეთი

№1 (412) • 18 იანვარი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ვირთაგვების ომი ნაციონალურ კასრში და ბოლში გამოყვანილი ღორის ტყავის ნაჭერი

„რომ დასუქდებიან და ყელში ამოუვათ, მაშინ ბოლში გამოყვანილ ღორის ტყავის ნაჭერს ჩაუგდებენ კასრში. რომელიც მათში ღონიერია და ავია, ის დაისაკუთრებს იმ ტყავს. ვერ ჭამს, ქვასავით ტყავია, მართალია, მაგრამ სუნი აქვს კარგი, იზიდავს სხვებს და ესეც ვერ ელევა, სიკვდილის ფასად არ დაუთმობს სხვა ვირთაგვას“. („დათა თუთაშხია“)

ნიკოლოზ მჟავანაძე:

სასაცილოა, 300 ლარის ქრთამის აღებისთვის ადამიანები ციხეში ისხდნენ, ხოლო 50 მილიონის გაფლანგვაში ბრალდებული გიგი უგულავა გარეთ „გულაობდეს“?

ლია ელიავა:

ლარიზაციის პროგრამა აშკარად „ეროვნული ბანკის“ მიერ მთავრობისათვის თავსმოხვეული იდეაა

ღამის კლუბებში კრიმინალი მძვინვარებს

გიორგი ბურჯანაძე:

მინდა მადლობა ვუთხრა პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ეს უმწვავესი პრობლემა ეროვნული ღირსების კუთხით გაახმოვანა



ზიგმუნდ ფროიდის საიდუმლო

მეუფე მელქისედეკი:

ჩემნაირ უბრალო ადამიანს სურვილი რომ გაუჩნდება, იმ ბარძიმს ემთხვიოს, რომლითაც მამათმავალი არაა ზიარებული, მაშინ იქნება განწმენდილი ეკლესია

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეოცე საუკუნეში...

„კარგი ამბები“ ის იყო, რომ ახალი სტუდია ყალიბდებოდა, საქართველოს ტელეფილმების სტუდია. უფრო სწორად, სტუდია უკვე დაარსებული იყო, ფილმებსაც იღებდა, ოღონდ ჩვენ არ გვეგონა თუ შესაძლებელი იყო ტელევიზიაში ხარისხიანი კინოფილმის შექმნა“.

ახალი ამბები

საუბარი იმის შესახებ, რომ დროულად მოვიცილოთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი, მკრეხელურია

ოპოზიციის წარმომადგენლებმა ღიად განაცხადეს თავიანთი გეგმების შესახებ, რომ მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ ხელისუფლებას. ხელისუფლებისთვის ზიანის მიყენება დიდწილად თუ ყოველთვის არა, გულისხმობს ქვეყნისთვის ზიანის მიყენებას, – განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, რევაზ არველაძემ.

„მე ერთადერთი შემიძლია ჩვენს ხელისუფლებას ვურჩიო, საკუთარი თავის ჩათვლით, როგორც საპარლამენტო ასევე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, რომ არცერთი წინადადება განსახილველიც კი არ არის ოპოზიციის მიერ დაყენებული, ვინაიდან, ეს ყველაფერი ემსახურება ზიანის მიყენებას ხელისუფლებისთვის ანუ ჩემი აზრით, ქვეყნისთვის.

საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი არის არაფორმალური მმართველი, ეს ნამდვილად არ არის ასე. ის არ ერევა პოლიტიკურ საქმიანობაში. საუბარი, რომ ჩვენ დიდი ზიანი უნდა მივაყენოთ ხელისუფლებას, რათა დროულად მოვიცილოთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი – ჩემი აზრით, ცოტა მკრეხელურიცაა, რადგან ამ ხალხს სიტყვა რეჟიმის ხმარების უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეთ!“, – განაცხადა რევაზ არველაძემ.

ფინანსთა სამინისტროსა და ISET-ს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა ერიკ ლივნიმ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის თანახმად, გათვალისწინებულია თანამშრომლობა ერთობლივი პროექტების, კვლევებისა და ტრენინგების ორგანიზებაში, აგრეთვე სტატიებისა და პუბლიკაციების მომზადებაში, საჯარო ლექციებისა და დისკუსიების ჩატარებაში. გარდა ამისა, დაგეგმილია, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში თბილისის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის სტუდენტების პრაქტიკის გავლის შემთხვევები.

საკონსტიტუციო კომისიის პირველი სამუშაო შეხვედრა 21 იანვარს გაიმართება

ამ დღეს, საკონსტიტუციო კომისიის ოთხი თემატური ჯგუფიდან მხოლოდ ერთი: ადამიანის უფლებების, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულისა და ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება.

„ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ ეჯიბრება ერთმანეთს იმაში, თუ ვინ გალანძღვას უფრო მაგრად ბიძინა ივანიშვილს

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის შეფასებით, ნაციონალურ მოძრაობის გამოყოფილი ჯგუფი და პარტიაში დარჩენილი ნაწილი ერთმანეთს ეჯიბრება იმაში, თუ ვინ გალანძღავს უფრო მაგრად ბიძინა ივანიშვილს.

მისი თქმით, მათ შორის წყალგამყოფი არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის გუნდს კვლავ მოუწოდებს რევოლუციური გზისკენ, ხოლო ევროპული საქართველოს წევრები აცხადებენ, რომ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ინტელექტუალურად დაამარცხებენ.

„ფაქტია, რომ თავისი ფსიქოტიპის სააკაშვილი განაპირობებს იმას, რომ იგი დამაზიანებელი ფაქტორია საქართველოსთვის. ნაციონალურ მოძრაობას გამოყოფილ გუნდსა და დარჩენილ ნაწილს შორის წყალგამყოფი არის ის, რომ სააკაშვილი რევოლუციური გზისკენ მოუწოდებს და არ ეშვება ამას, მიუხედავად იმისა, რომ იქ ვაშინგტონია, ბრიუსელი თუ ვენა, ეუბნება რომ არ შეიძლება ესე. მეორე ნაწილი კი ცდილობს, რომ წყალგამყოფი თავად გააკეთონ. ჩვენ ვართ ინტელექტუალებიო, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ დავუპირისპირდებით პარლამენტშიო.

ორივე ერთმანეთს ეჯიბრება, თუ ვინ უფრო მაგრად გალანძღვას ბიძინა ივანიშვილს და იტყვის, რომ მმართველი გუნდი უნდა ჩადოს მიწაში“, - აღნიშნა ვოლსკიმ.

„ნაციონალური მოძრაობა“ პრაქტიკულად დაშლილია

თბილისის მერი, დავით ნარმანია “ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას გამოეხმაურა.

“ნაციონალური მოძრაობა“ პრაქტიკულად არის დაშლილი. მათ, ალბათ, ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ საიმისოდ, რომ ორად დაყოფილი ჯგუფი რაიმეს დაემსგავსოს და დადგეს რეალურად ფეხებზე. ვნახოთ, რას იზამენ ოპონირების ნაწილში,“ - განუცხადა ჟურნალისტებს დავით ნარმანიამ.

შეგახსენებთ, რომ დღეს ცალ-ცალკე ფრაქციების შექმნის განცხადებით, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა და მათმა ყოფილმა თანაგუნდელებმა საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართეს.

რა ოდენობის თანხა დახარჯა პრეზიდენტმა პარიზში, სამდღიან ვიზიტზე?

გასული წლის 6-9 დეკემბერს საფრანგეთში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტზე 110 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა.

„ინტერპრესნიუსმა“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გასული წლის დეკემბერში პარიზში გიორგი მარგველაშვილის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაწეული ხარჯებისა და დელეგაციის შემადგენლობის შესახებ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, ვიზიტის ფარგლებში ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი: დღიური ნორმა – 3720,31 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი – 10341,77 ლარი; პრეზიდენტის მეუღლე მაკა ჩიჩუა: დღიური ნორმა – 800,54 ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი: დღიური ნორმა – 1108,44 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი – 2454,47 ლარი; პრეზიდენტის პრესპიკერი ეკატერინე მიშველაძე: დღიური ნორმა – 862,12 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი – 2454,47 ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი ლაშა კვერნაძე: დღიური ნორმა – 862,12 ლარი, სასტუმროს დაქირავების ხარჯი – 2454,47 ლარი.

გარდა ამისა, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა შეადგინა 63 507,81 ლარი, ხოლო წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 22882,9 ლარი.

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: გიორგი მარგველაშვილი, პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, პრეზიდენტის პრესსპიკერი ეკატერინე მიშველაძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის უფროსი ლაშა კვერნაძე, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ სანიკიძე, საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი მერაბ სუჯაშვილი, დაცვის ოფიცრები: ლევან ყაზახიშვილი და იასონ ღვინჯილია.

აღსანიშნავია, რომ დელეგაციის შემადგელობაში არ ირიცხებიან პრეზიდენტის პრესსამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც გიორგი მარგველაშვილს აღნიშნული ვიზიტისას თან ახლდნენ. ასევე, მოწოდებულ ხარჯებში არ შედის უშიშროების საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა ხარჯები, ვინაიდან დელეგაციის წევრების მივლინების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, პირადი დაცვის) შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყვეს.

საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთში სამდღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში „პარტნიორობა ღია მმართველობის მეოთხე გლობალური სამიტის” მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ასევე შეხვედრები გამართა სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებთან და საერთაშორისო, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. გიორგი მარგველაშვილი საფრანგეთის აღმოსავლურ ენათა და კულტურათა ეროვნულ ინსტიტუტსაც ეწვია და ქართული ენის კათედრაზე სტუდენტებს შეხვდა.

ვის გუნდს შეუერთდება ვანო მერაბიშვილი?

„ზოგადად, ამ „განქორწინებაზე“ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. არ ვიცვით, თუ რა მექანიზმები იყო ჩართული. მე პირადად ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ კონკრეტული პიროვნებების ერთმანეთთან შეუთავსებლობა არ არის. მეტისმეტად სინქრონულად გადადგა ნაბიჯი იმ გუნდმა, რომელიც გამოეყო. სავარაუდოა, რომ ამ პროცესს წინ რაღაც მოლაპარაკებები, შეთანხმებები, გარანტიების მიღება უძღოდა საერთაშორისო არენიდან. ისიც სავარაუდოა, რომ მერაბიშვილთან და უგულავასთან, მათი საპყრობილეში ყოფნის გამო, ეს ყველაფერი ვერ მოხერხდა. ამიტომ, უგულავამ უფრო ადრე გადაწყვიტა საკუთარი ბედი, მერაბიშვილი კი ალბათ მოგვიანებით გადაწყვეტს“, – აცხადებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, სათაურით „მერაბიშვილი, სავარაუდოდ, უგულავა-ბოკერიას გუნდს აირჩევს.“

„ფაქტია, რომ ერთ-ერთმა ყველაზე საკვანძო ფიგურამ – დავით კეზერაშვილმა, რომელიც ფინანსებთანაა დაკავშირებული, გადაწყვეტილება საკმაოდ ადრე მიიღო. ასე რომ, სავარაუდოა, მერაბიშვილიც ანალოგიურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ვანო მერაბიშვილი ძალიან წონიანია. ოღონდ ორი საწინააღმდეგო მიმართულებით. მერაბიშვილის ჩართვამ, შეიძლება, ამა თუ იმ გუნდს ბევრი ხმა დააკარგვინოს, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ ცოდვების დიდი ნაწილი მასზეა მიწერილი. უარყოფითი ნამდვილად ექნება და დადებითი რამდენად ექნება – არ ვიცი“, – აღნიშნავს რესპონდენტი და კითხვაზე “თავად მერაბიშვილისათვის, სამომავლო წარმატების თვალსაზრისით, რომელი გუნდის არჩევა უფრო მომგებიანი იქნებოდა? ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილის გარეშე უგულავა-ბოკერიას ჯგუფს პერსპექტივა თითქმის არ აქვს. ეთანხმებით მოსაზრებას?“, – პასუხობს:

„სიმართლე გითხრათ, კარგად არ მესმის, თუ რატომ არ აქვთ პერსპექტივა სააკაშვილის გარეშე. როგორც გითხარით, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ ზედაპირს ვადევნებდით თვალს და არ ვიცით, თუ რა ხდებოდა სიღრმეში ისეთი, რამაც ამ გაყრას საფუძველი შეუმზადა და სააკაშვილის საწინააღმდეგო პლატფორმაზე ასეთი ერთიანი გადასვლა განაპირობა, ვერც იმას გეტყვით, მერაბიშვილის პერსპექტივა რომელ გუნდთან უფრო მაღალი და მომხიბვლელი იქნება.”

გივი თარგამაძის მანქანის აფეთქების საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა

ცნობილი გახდა, რომ ბორის ჩაგუნავას საქმე პროკურატურამ 28 დეკემბერს ცალკე ეპიზოდად გამოყო ხეჩუაშვილის საქმისგან, რომელიც განზრახ მკვლელობის მცდელობაშია ბრალდებული. ხეჩუაშვილი ამ დრომდე იძებნება.

პროკურატურა კი გამოძიებას განაგრძობს, რაც შეეხება ბორის ჩაგუნავას, გამოძიება მას ასაფეთქებელი მოწყობილობის და იარაღის უკანონოდ შენახვას ედავება.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. მისმა ადვოკატმა მოსამართლეს პატიმრობის გირაოთი შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

მოსამართლემ ბორის ჩაგუნავას ბრალდებაზე საქმის განხილვა 26 იანვარს ჩანიშნა.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული არეკლილია მასალები.

ვირთაგვების ომი ნაციონალურ კასრში და ბოლში გამოყვანილი ღორის ტყავის ნაჭერი

„კაციჭამიაა ეგ? – მკითხა თუთაშხიამ. თავი დავიქნიე. თუთაშხიამ ოდნავ ჩაიცინა და აღარაფერი უთქვამს, ეს იყო მისი ერთადერთი ნიშანი ჩვენი ერთად ყოფნის მანძილზე – ნიშანი იმისა, რომ მიხვდა, ვინც ვიყავი. არც მე ამომიღია ხმა, წავედი ჩემს გზაზე. ჩვენმა საგვარეულო ხელობამ დიდი ხანია თავისი მნიშვნელობა დაკარგა და ამიტომ, რასაც გიამბობთ, საიდუმლოების გაცემად არ ჩამეთვლება. კაციჭამიების გამოზრდა ორი ხერხით შეიძლება: შიმშილით და სიმაძღრით. საბოლოო ჯამში ორივე ერთნაირ კაციჭამიას იძლევა. მაგრამ მე შიმშილის ხერხს ვამჯობინებდი, ნაკლები დროა საჭარო. აუცილებლად შვიდი ან ცხრა ვირთაგვაა საჭირო. დაჭერილი ცხოველები ცარიელ კასრში უნდა მოვათავსოთ. თუ კაციჭამიას გამოყვანას შიმშილის ხერხით ვაპირებთ, კასრი ლითონის უნდა იყოს, თორემ ძალიან რომ მოშივდებათ, ხისას გაღრღნიან და გაიქცევიან. სიმაძღრის ხერხის დროს კი ჩვეულებრივი კასრის გამოყენებაც შეიძლება – მაძღარი ცხოველები კედელს არ ერჩიან სიბნელეც აუცილებელია! სიბნელე თუ არ იქნა, კაციჭამია ვერ გამოიზრდება. კასრში და მის ფსკერზე სიბნელეა, აბა, რა იქნება, თუ არ ჩაანათე შიგ. თუ შიმშილის ხერხია – წყლის მეტი არ უნდა მივცეთ არაფერი. თუ სიმაძღრის არის – თავსაყრელი უნდა ქონდეს ერთი რომელიმე საკვები – სიმინდი ან ხორბალი, თუ გნებავთ, ამას მოკლედ გელაპარაკებით, თვარა, მთელი პედაგოგიური სისტემაა ეს“.

„წინა ზაფხულს გამოვზარდე ერთი კაციჭამია, ფარაონი სახელად. მაშინ მუშტარი არ მყავდა და ლაზარეთში გავუშვი, მე სულელმა. გავუშვი და მუშტარიც გამომიჩნდა, მაგრამ ვერ გავიმეტე გასაყიდად, ნამეტანი კარგი კაციჭამია გამოდგა, მეტი ღირდა, ვიდრე მუშტარი მთავაზობდა. შემორჩა და შემორჩა ლაზარეთს, გააწყო ვირთაგვები, ვერსზე ვეღარ დაიჭერდა კაცი ვერც ერთს“.

„...რომ დაიმშევიან და დასუსტდებიან ცხოველები, როცა მათგან ყველაზე დაუძლურებული სიკვდილის პირზე მივა, მაშინ ეცემიან სხვები და შეჭამენ. აქ იმ ცხოველის დახსომებაა აუცილებელი, რომელიც პირველი მიიტანს იერიშს მომაკვდავზე. ამ ცხოველს დაცვა და საგანგებო მოვლა სჭირია, თორემ დაუძლურებულის შეჭმისას ერთმანეთში ჩხუბი მოსდით ვირთაგვებს და ნაკბენობა თუ მიიღო, იქნებ თვითონაც დაუძლურდეს და სხვისი შესაჭმელი გახდეს. კაციჭამიას გამოყვანისას, ხანდახან ხდება ისე, რომ სულ ბოლო ცხოველიც კვდება – ნაკბენობა არ შეუხორცდება, გაუმიზეზდება წყლული და მოკვდება. ტყუილად დაკარგული შრომაა ასეთი შემთხვევა“.

„...ქუჯი-ბატონო, დაიმშნენ და ჭამენ ერთმანეთს, გასაგებია, მარა სიმაძღრის ხერხითაც შეიძლება კაციჭამიას გამოყვანაო, რომ მითხარი, მაძღრები თუ იქნებიან... არ მესმის მე ეს. – მაძღრები კი იქნებიან, მაგრამ ერთი რამე საჭმელი ექნებათ მხოლოდ – სიმინდი ან ხორბალი, მაგალითად. რომ დასუქდებიან და ყელში ამოუვათ, მაშინ ბოლში გამოყვანილ ღორის ტყავის ნაჭერს ჩაუგდებენ კასრში. რომელიც მათში ღონიერია და ავია, ის დაისაკუთრებს იმ ტყავს. ვერ ჭამს, ქვასავით ტყავია, მართალია, მაგრამ სუნი აქვს კარგი, იზიდავს სხვებს და ესეც ვერ ელევა, სიკვდილის ფასად არ დაუთმობს სხვა ვირთაგვას. ბოლოს და ბოლოს, წასართმევად დაეცემიან, იმ ომში შეიჭმევა რომელიმე და ღორის ტყავის ნაჭერი ისევ ერთ ცხოველს დარჩება. მერმე მისი ჯერიც მოვა და ასე“.

* * *

ეს არის ფრაგმენტები რომანიდან „დათა თუთაშხია“, თუმცა ამ ფრაგმენტებს რომ კითხულობ, შეიძლება იფიქრო, რომ მწერალი „ნაცმოძრაობაში“ დღეს მიმდინარე ამბებზე წერს.

არავინ იცის, სიმაძღრის ხერხით გაწვრთნილ ნაციონალ ვირთაგვებს ვინ ჩაუგდო „ნაციონალურ“ კასრში ბოლში გამოყვანილი ღორის ტყავის სურნელოვანი და მადისაღმძვრელი ნაჭერი, რომელსაც ნაციონალები საოცარი სიხარბით და გააფთრებით დააცხრნენ.

დიახ, არავინ იცის, ვინ ჩაგდო ამ „ნაციონალურ“ კასრში ღორის ტყავის სურნელოვანი ნაჭერი და ვინ მიუსია ერთმანეთს ეს ვირთაგვების ხროვა, თუმცა, ვინც ეს გააკეთა, მან შესანიშნავად იცის, რომ, ადრე თუ გვიან, ვირთაგვები აუცილებლად დაჭამენ ერთმანეთს.

პროცესი უკვე დაწყებულია და მას ახლა ვერავინ შეაჩერებს — სანამ ბოლომდე არ შეახრამუნებენ ერთმანეთს, ესენი ვერ დაოკდებიან.

ასეთია ლოგიკა იმ „პედაგოგიური“ სისტემისა, რომლითაც კაციჭამიებად ქცეული ვირთაგვების განეიტრალება ხდება.

ვიღაც-ვიღაცები სერიოზულად დაობენ და კამათობენ იმაზე, თუ ვის დარჩება ღორის ტყავი.

მინდა გაცნობოთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ამ ომს გამარჯვებული არ ეყოლება — ვირთაგვების ორივე ბანაკი დამარცხდება, ღორის ტყავს კი მისივე პატრონი დაიბრუნებს და ვირთაგვების ლაშქარზე ტრიუმფალური გამარჯვების სამახსოვრო რელიქვიად შეინახავს.

ვირთაგვათმცოდნეობის პედაგოგიური სისტემა გვასწავლის, რომ აუცილებელია ის ვირთაგვა დავიმახსოვროთ, რომელიც პირველი მიიტანს იერიშს მომაკვდავ თანამოძმეზე. მას გაფრთხილება და საგანგებო მოვლა ჭირდება, რადგან სწორედ მისგან შეიძლება გამოვზარდოთ კაციჭამია ვირთაგვა.

„ნაცმოძრაობის“ სავირთაგვეთში ვინც პირველმა, შეუტია მოფამფალებულ ლიდერს, დამახსოვრებით დამახსოვრებულია, ახლა კი ისღა დაგვრჩენია, რაც შეიძლება მკაცრი კონტროლი და მკაცრი თვალთვალი დავაწესოთ მასზე, რადგან სწორედ ის გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე საშიში და

ვერაგი ვირთაგვა, რომელმაც შეიძლება თანაპარტიელ ვირთაგვებს მთელი ქვეყანაც ზედ მიაყოლოს.

ასეა თუ ისეა, ეს გაბანძებული ვირთაგვები, რომლებმაც თავიანთი ვირთაგვული ზნე და ხასიათი ბოლომდე გამოამჟღავნეს, ისეთ არაჩვეულებრივ სანახაობას გვიმზადებენ, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება გლადიატორების ბრძოლებს.

„ნაციონალურ“ კასრში, რომელშიც არაერთი კაციჭამია ვირთაგვა გამოიზარდა, სისხლის სუნი ტრიალებს, სისხლის და კიდევ ბოლში გამოყვანილი ღორის ტყავის გამაბრუებელი და თავბრუდამხვევი არომატი, რომელმაც მთელი სანაცეთ-საგირთაგვეთი ჭკუიდან გადაიყვანა და ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ გადაამტერა.

ჭირი იქა, ლხინი აქა...

ლარიზაციის პროგრამა აშკარად „ეროვნული ბანკის“ მიერ მთავრობისათვის თავსმოხვეული იდეაა, რომელსაც მოსახლეობისთვის ცუდი შედეგი მოჰყვება

გვესაუბრება საბანკო საქმეთა ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:

— ქალბატონო ლია, გუშინ ლარიზაციის პროგრამა ამუშავდა. რა მოლოდინი გაქვთ ამ პროცესთან დაკავშირებით?

— მოგახსენებთ, მსესხებლებისთვის ეს პროგრამა დიდი ვერაფერი შეღავათია, ვინაიადან კომერციული ბანკები ლარში საპროცენტო განაკვეთს გაზრდიან, რაც დოლარში გაცემულ სესხზე ბევრად უფრო დიდი იქნება. საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთზე იქნება მიბმული, რომლის ცვალებადობა პირდაპირ სესხის მომსახურების ხარჯებზე აისახება. ამიტომ, თვითონ მსესხებლებისთვის აღნიშნული არსებითად არაფრის მომცემი იქნება. გარდა ამისა, ჩემი აზრით, მოცემული ვადა — ორი თვე, ადამიანისთვის გადაწყვეტილების მისაღებად, შესაძლოა, საკმარისი არ იყოს. ანუ, რატომ არის ვადა ასე შეზღუდული, გაურკვეველია. აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ აქციისთვის სოციალური პროგრამის დარქმევა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ვინაიდან 2015 და 2016 წელს სესხის ამღები პირები თავს, ალბათ, ხელისუფლებისგან უყურადღებოდ მიტოვებულად და შეურაცხყოფილად გრძნობენ. ეს ერთი მომენტი. მეორე, კომერციული ბანკებისთვის ლარიზაციის პროგრამა ძალიან სასარგებლო იქნება, რადგან ამით, ისინი, შემოსავლების კუთხით არაფერს კარგავენ, უფრო მეტიც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით სახსრებს იღებენ — 65 მილიონი ლარის ოდენობით და იმავდროულად თავიანთ საკრედიტო პორტფელებს აუმჯობესებენ. ანუ, ეს პროგრამა კომერციული ბანკებისათვის ძალიან მომგებიანია. მესამე, მთავრობის, კერძოდ, ფინანსთა მინისტრის განცხადებით, თურმე, საქართველოში სავალუტო კურსი იმიტომ ვარდება, რომ მსესხებლები სესხის გადახდის პერიოდში სავალუტო ჯიხურებში დარბიან, ახურდავებენ ფულს, რაც ლარის კურსის ვარდნას იწვევსო. ასეთი არაპროფესიონალური განცხადება ჯერ არ მომისმენია. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. და ბოლოს, ე.წ. გალარების პროგრამა ესაა წმინდა პიარ-აქცია, სწორედ ისეთივე როგორიც 2015 წლის დასაწყისში იყო: თუ გახსოვთ, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი ამბობდა, კომერციულ ბანკებს ვთხოვ და ისინი მსესხებლებს მდგომარეობას შეუმსუბუქებენო. ეს რამდენჯერმე ითქვა, მაგრამ შედეგი ნულოვანი იყო. შესაბამისად, გალარების პროგრამის შედეგიც ნულოვანი იქნება.

— ქალბატონო ლია, თქვენ, ახლა, ახსენეთ, რომ კომერციული ბანკები სუბსიდიის სახით 65 მილიონ ლარს იღებენ. ეს იმისთვის კეთდება, რათა ბანკებმა არ იზარალონ? ეს ხომ ჩვენი და, მათ შორის, იმ მსესხებლების ჯიბიდან ამოღებული ფულია?

— ამ ფულის ამოღება ყველას ჯიბიდან ხდება. დიახ, ეს თქვენი, ჩემი და ყველა მოქალაქის გადასახადებიდან შეკრებილი თანხებია. საზოგადოებას არავინ ჰკითხა: არის თუ არა იგი თანახმა, რომ მისი ფული კომერციული ბანკების ჯიბეში გადაირიცხოს. ანუ, საბიუჯეტო სახსრებს ძალიან უპასუხისმგებლოდ განკარგავენ და მოსახლეობას ასეთი არამიზნობრივი ხარჯვის თაობაზე აზრსაც კი არ ეკითხებიან. ეს ბიუჯეტის სახსრების განკარგვის ძალიან ცუდი პრაქტიკა, პრეცედენტია, ეს იგივე ჩვენი გადასახადებიდან აკრეფილი ფულის განკარგვაა.

ეს მხოლოდ ერთჯერადი, ორთვიანია და აბსოლუტურად გაუაზრებელი, არაარგუმენტირებული პროგრამაა, რაც აშკარად, „ეროვნული ბანკის“ მიერ მთავრობისთვის თავსმოხვეული იდეაა. ასეთი იდეების წამოჭრა მათი სტილია, რაც მთავრობამ ისე აიტაცა, რომ ამ ყველაფრის შედეგები ბოლომდე არ გაუაზრებია. სულ ესაა, სხვა არაფერი.

— ისევ 65 მილიონიან სუბსიდიას დავუბრუნდეთ. ამ შემთხვევაში რამდენად შესაძლებელი იყო სხვა რეგულაციის ამუშავება?

— დიახ, ეს შესაძლებელი იყო. ანუ, სავსებით შესაძლებელი იყო ეს ხარჯი თავად კომერციულ ბანკებს გაეწიათ. მათთვის 65 მილიონი ლარი არც ისე დიდი თანხაა და მერწმუნეთ, ამ თანხებს ვერც გაბარჯავენ იმიტომ, რომ ამდენი ადამიანი კომერციულ ბანკებს, სესხების გალარებისთვის, არც მიაკითხავს. ზუსტად ვიცი, მაქვს ინფორმაცია, რომ ბევრმა მსესხებელმა კომერციულ ბანკებს გალარების შედეგად თავიანთი ხარჯები წინასწარ დაათვლევინა და პრაქტიკულად, ვერანაირი შეღავათი ვერ ნახა. ამიტომ, რბილად რომ ვთქვა, ეს იდეა ძალიან ცუდი, ძირშივე არასწორია.

— თქვენი აზრით, რა იდეა იქნებოდა მისაღები?

— ყველაზე კარგი იდეა ლარის კურსის გაჩერება და მისი გამყარება იქნებოდა. აი, რა არის ყველაზე გონივრული და არა შეღავათების გაწევა ცალკეული მსესხებლებისთვის. ეს პრინციპულად არასწორი, არასახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებაა, რაც სხვა მსესხებლებში, აუცილებლად, უკურეაქციას გამოიწვევს. ქვეყნის მართვა ასე არ შეიძლება.

— პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?

— ორივეს — ხელისუფლებასაც და „ეროვნულ ბანკისაც“. ლარიზაციის პროგრამა ორივე მათგანის იდეა იყო, მისი რეალიზება ორივემ მოახდინა. უფრო სწორად, ეს „ეროვნული ბანკის“ იდეა იყო, მან მიაწოდა მთავრობას, ამ უკანასკნელს გაუხარდა, ეს იდეა აიტაცა. ამიტომ, ამ საქციელზე ორივე თანაბრად პასუხისმგებელია.

— მთავრობა აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზანი ლარის გამტკიცებაა, რის ერთ-ერთ შესაძლებლობად ლარიზაციის პროგრამასაც ასახელებენ. ეს პროცესი რამდენად გაამტკიცებს ლარს?

— რა თქმა უნდა, ეს ლარს ვერ გაამტკიცებს. მათი გათვლა რომ ხალხი სავალუტო ჯიხურებში არ წავა და ფულს არ გადაახურდავებს, არარეალისტურია. ფიზიკური პირის მიერ სავალუტო ჯიხურში გადახურდავებული ფული ლარის კურსს ვერ გაამყარებს. ძალიან გაუაზრებელი გადაწყვეტილებაა.

— რეალურად, ქვეყნის ეკონომიკა რამ უნდა განავითაროს?

— სანამ ლარი ვარდნას არ შეწყვეტს, სანამ ორი წლის განმავლობაში სავალუტო კრიზისი არ აილაგმება, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ლარის ვარდნის შეჩერება მხოლოდ და მხოლოდ „ეროვნულ ბანკს“ შეუძლია. მას ამისთვის შესაბამისი რესურსები და ბერკეტები გააჩნია, მაგრამ ამას არ აკეთებს.

— რატომ?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით ამას რატომ არ აკეთებს, მათ ფილოსოფიას და ლოგიკას თვალს ვერ მიადევნებ, ძალიან არადეკვატურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

— უარყოფითი პროცესის შეჩერება მხოლოდ „ეროვნულ ბანკს“ ძალუძს და იგი შეგნებულად არ აკეთებს ამას, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?

— „ეროვნული ბანკისთვის“ დაუსჯელობის სინდრომი ქრონიკული გახდა. წინა მოწვევის პარლამენტი მისი საქმიანობით სიღრმისეულად არ დაინტერესებულა, დასკვნების გაკეთებაც არ ისურვა. ვფიქრობ, არც ეს პარლამენტი დაინტერესდება. ანუ დაუსჯელობის სრული უკონტროლობის პირობებში „ეროვნული ბანკი“ რას და როგორ აკეთებს, ამის განმკითხავი არავინაა. ერთადერთი, ქვეყნის ეკონომიკის ძალიან სერიოზულად დაზარალების სახით, შედეგს ვიმკით.

— ქალბატონო ლია, მოსახლეობა დაბნეულია, რა კურსით გადაიხდის იგი გალარებულ სესხს?

— თვითონ გალარება, ანუ ნარჩენი თანხის ლარში გადაყვანა მიმდინარე კურსს გამოკლებული 20 პროცენტული პუნქტით მოხდება. ამის შემდგომ გადახდა უკვე ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. ანუ, აქ პროცენტებზე საუბარი არაა, არამედ მხოლოდ ძირ-თანხის გადაყვანაზე. მაგალითად, თუ კურსი დღეს 2.73-ია და მსესხებელი ამ დროს თავისი სესხის ლარში გადასაყვანად ბანკში მივა, მას შემდეგი კურსით გადაახდევინებენ — 2,53. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, გადახდა ჩვეულ რეჟიმში მოხდება.

— ლარის გამყარების შემთხვევაში მსესხებელს რა ელის?

— ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ზარალდება. მაგრამ მეც ვვარაუდობ და ეტყობა მთავრობაც დარწმუნებულია, რომ ლარი აღარ გამყარდება. თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ეს პროგრამა, ბანკებს არანაირად არ დააზარალებს, პირიქით, შესაძლოა მათ მოგება ნახონ.

— რაც შეეხება 100 ათასამდე სესხების მხოლოდ ლარებში გაიცემას, ეს რას ემსახურება?

— ეს არაა პრობლემა, თქვენ 101 ათას დოლარს აიღებთ და მორჩა. ეს ერთი მომენტი და მეორეც, საქართველოში ყველა აკრძალვა რამოდენიმე თვეში მივიწყებას ეცემა და ყველაფერი ძველ რეჟიმში ჯდება. ეს ყველაფერი არაეფექტიან ღონისძიებად დარჩება და მეტი არაფერი.

— საუბარია დოლარით ვაჭრობის აკრძალვაზე. ამან ხომ შეიძლება საერთოდ დააქციოს ისედაც დაქცეული ქვეყნის ეკონომიკა?

— რა თქმა უნდა, ეს საფრთხეებს შექმნის იმიტომ, რომ ლარის მიმართ ნდობა ძალიან დაბალია. ლარი გამოიყენება მხოლოდ ანგარიშსწორებაში, კომუნალურ გადახდებში, მაღაზიებში. რატომ? — იმიტომ, რომ ლარის მიმართ ნდობა არ არის. ეს ერთი მომენტი და მეორე — ლარი ცოტაა. იგი არის ოთხჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე დოლარის მასა ეკონომიკაში. ეს ბუნებრივია, მისი გამოყენება ვერ მოხდება იმ დონეზე, იმ ინტენსივობით, როგორც დოლარის. ინვესტორებსაც კაპიტალი უკან გააქვთ. ლარის ვარდნა სხვა არაფერია თუ არა ქვეყნიდან გაქცეული კაპიტალი. კაპიტალი ქვეყანაში არ ჩერდება, გარბის.

— ნონსენსია, მაგრამ ქვეყანაში ხელფასი ლარებშია, მაღაზიაში დოლარად ვერაფერს იყიდი, ორგანიზაცია დოლარს ვერ გირიცხავს, მაგრამ კომერციული ბანკები სესხს დოლარში გვაძლევენ. ეს რას ნიშნავს?

— დიახ, დიახ და ეს ნონსენსი როგორც თქვენ უწოდეთ „ეროვნული ბანკის“ მიერაა შექმნილი, რომელიც განსაკუთრებულ, ექსკლუზიურ უფლებას აძლევს კომერციულ ბანკებს, რათა სესხები უცხოურ ვალუტაში გასცენ. ისმის კითხვა — რატომ? ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს თუ რატომ არის „ეროვნული ბანკი“ დაინტერესებული, რომ კომერციულ ბანკებს ასეთ ექსკლუზიურ პირობებს უქმნის. ეს არის კითხვა, რაზეც პასუხი არ მაქვს. თუ ვინმემ იცის, კარგი იქნებოდა ამის შესახებ ეთქვა.

— ჩვენისთანა ქვეყანაში რამდენი კომერციული ბანკი შეიძლება იყოს?

— ჩვენთან იდეალური იქნებოდა ხუთი კომერციული ბანკი, თითოეულის წილი 20-20%, მთელი ქვეყნისთვის საკმარისია.

— რეალურად რამდენი კომერციული ბანკი გვაქვს?

— 19 თუ 18, აქედან 80% ორ ბანკს უკავია, 20% დანარჩენ 17 ბანკზეა გადანაწილებული. ეს არანორმალური მოვლენაა. ხუთი ბანკი 20-20%-ით იდეალური იქნებოდა.

— თქვენი პროგნოზით ლარის ვარდნა რამდენ ხანს გაგრძელდება?

— ვარდნა გაგრძელდება, მერე, ოდნავ შეჩერდება, მერე ისევ დაიწყებს ვარდნას, მერე, კვლავ ოდნავ გამყარდება, ასე იქნება მთელი წელი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გიორგი ბურჯანაძე:

მინდა მადლობა ვუთხრა პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ეს უმწვავესი პრობლემა ეროვნული ღირსების კუთხით გაანალიზა

ღამის კლუბებში კრიმინალი მძვინვარებს

„ვარდების მოედნის“ ქვემოთ, ბარებში ხდება ქართველი არასრულწლოვანი გოგონების ჩართვა პროსტიტუციაში და ეს არის ძალიან დიდი პრობლემა. უფრო მეტიც, ეს არის ჩემი, როგორც ამ ქვეყნის შვილის ღირსების შეურაცხყოფა. სწორედ ამიტომ არის ეს საკითხი პრობლემატური, რომ ეს საკითხი გადაწყდეს რაც შეიძლება ძალიან მალე.“ - განაცხადა 11 იანვარს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის ინიციატივაზე პოზიციის გაზიარება არასამთავრობო ორგანიზაცია „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელს გიორგი ბურჯანაძეს ვთხოვეთ.

— პრობლემა, რომელზეც ბატონმა პრემიერმა ისაუბრა, ქვეყანაში ძალიან დიდი ხანია არსებობს და ჩვენ ერთ-ერთი ორგანიზაცია ვართ, რომელიც ამ ტიპის მაფიისგან დაზარალდა. ღამის კლუბებში პროსტიტუციის ფაქტებზე საქმეებზე მომუშავე ჩემს თანამშრომლებს იმის ნაცვლად, რომ ღირსების მედლები მიეცათ, სისხლის სამართლის საქმეები „შეუკერეს“ , მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ „ყინული მაინც დაიძრა“. გიორგი კვირიკაშვილი აბსოლუტურად მართალი იყო, როცა ღირსება ახსენა. ეს მართლაც ერის და თითოეული ადამიანის ღირსების საქმეა.

— დაგვიკონკრეტეთ, რომელ საფრთხეს გულისხმობთ, ვისგან მომდინარეობს ეს საფრთხე და რატომ?

— უამრავი მაგალითი გვაქვს, რომ ღამის კლუბიდან გამოსულ, ალკოჰოლით გაბრუებულ უცხოელებს გამვლელი მანდილოსნები სექს-მუშაკებში ერევათ და შეურაცხყოფას აყენებენ. ალბათ გახსოვთ შემთხვევა, როცა აღმაშენებელზე ორმა ირანელმა ახალგაზრდა ბიჭი გააუპატიურა. ასეთი მდგომარეობა მთელი ერს შეურაცხყოფს, რადგან სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის იგნორირება უცხოეთის მოქალაქეს საშუალებას აძლევს, რომ კეთილსინდისიერი მეწარმის სახელით ჩამოვიდეს და ჩვენს ქვეყანაში აკეთოს ის, რაც მათ ქვეყანაში უკანონოა. მერწმუნეთ, კანონის გამკაცრებამდე, აღნიშნული კლუბები ყოველთვის საროსკიპოებად იქნება ქცეული.

— ბატონო გიორგი, მიაჩნიათ, რომ ღამის კლუბები სხვა სახის გასართობ დაწესებულებებთან ერთად, ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ სეგმენტს წარმოადგენს და იქ არსებულ პრობლემებზე ფრთხილად უნდა ვისაუბროთ.

— პირიქით, ეს კლუბები ტურისტს საქართველოსკენ გამოხედვას შეაძულებს. რომელი ტურიზმის განვითარებაზეა საუბარი, როდესაც ერთ ჭიქა შამპანურში, რომლიც ღირებულება 7-8 ლარს არ ეღემატება, კაცს 3 000 ლარს ახდევინებენ? მე შემიძლია ქვითარი გაჩვენოთ, რომლის თანახმად, ადამიანმა 2 ჭიქა შამპანურში 4000 ლარამდე გადაიხადა. იმ დაწესებულებაში, რომელსაც ბატონი პრემიერი გულისხმობდა, რუსეთის მოქალქეს 400 ლარიან მენიუში 20-ჯერ მეტი თანხა გადაახდევინეს. 15 წუთში და ნახევარ საათში ხალხს 10 000, 20 000 ლარს ახდევინებენ. წარმოიდგინეთ, რა შემოსავლებზეა საუბარი.. მსგავს დაწესებულებებში სექსუალური მომსახურეობისა და ფულის გამოძალვის გარდა, იმდენი დანაშაული ხდება, რომ სისხლის სამართლის კოდექსიდან მუხლების ჩამოთვლაც გამიჭირდება.

ამ დროს, დაწესებულების მეპატრონე გეუბნება მე ბიუჯეტს გადასახადს ვუხდი და შენ რას მედავებიო? სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული, რომ ფულს იხდის და სახელმწიფო არ ინტერესდება, ეს ფული როგორი საქმიანობის შედეგად იშოვა.

— ინტერვიუს დაწყებამდე ბრძანეთ, რომ ასეთ კლუბებში მომუშავე სექს-მუშაკები ჩვეულებრივი თაღლითები და ქურდები არიან, რომლებიც კლიენტებს ძარცვავენ და ასეთი არა ერთი ფაქტი გაქვთ. თუ ასეა, დაზარალებულები პოლიციას რატომ არ მიმართავენ?

— კლიენტების უმეტესობა მუსულმანური ქვეყნიდან ჩამოსული მოქალაქეა, რომელსაც ღამის კლუბებში სიარულს, სექს-მუშაკებთან გართობას და ალკოჰოლური სასმელების მიღებას რელიგია, ადათი და წესი უკრძალავს, ამიტომ ზედმეტი ხმაური და სკანდალები არ აწყობთ. ღამის კლუბის მეპატრონესაც მეტი რა უნდა? რასაც უნდა, იმას უკეთებს. ცნობისთვის, სანამ კლუბს გეგმას არ შეუსრულებს, ანუ კლიენტს ძვირად ღირებულ სასმელებს არ შეაძენინებს, სექს-მუშაკს უფლება არა აქვს, რომ კლიენტს სასტუმროში გაჰყვეს. დავუშვათ, გეგმაც შეასრულა და სასტუმროშიც გაჰყვა, მაგრამ კლიენტი არ ესიმპათიურება და არ სურს მოემსახუროს. ამ დროს, იცით რას აკეთებს? სასმელში საძილე აბებს ურევს, კლიენტს აძინებს, ფულს და პასპორტს პარავს და კლუბში ბრუნდება. რა თქმა უნდა, მეორე დღეს გაბრიყვებული კლიენტი ღამის კლუბში პრეტენზიებით მიდის. კლუბის დაცვის თანამშრომელი მას აფრთხილებს, რომ დებოშის შემთხვევაში პოლიციას გამოიძახებს და მიანიშნებს, რომ სექს-მუშაკი არასრულწლოვანია და ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, კლიენტი სასჯელს ვერ აიცილებს. დაშანტაჟებული და „კუთხეში მომწყვდეული“ კლიენტი იძულებულია, ყველა პრეტენზია უკან წაიღოს, ფულის დაბრუნებაზე უარი თქვას და მხოლოდ პასპორტი ითხოვოს, რომ საქართველოდან უკანმოუხედავად წავიდეს.

უამრავი ფაქტი გვაქვს, რომ სწორედ ასე ხდება ადამიანების დატერორება, ფულის „შეწერა“ და გამოძალვა. თქვენ გჯერათ, რომ ასეთი ღამის კლუბების მონახულების შემდეგ, ტურისტს საქართველოში დაბრუნების ან ვინმესთვის რეკომენდაციის გაწევის სურვილი გაუჩნდება?

—„ვარდების მოედანთან“ განლაგებული ღამის კლუბების პრობლემა ამ ხელისუფლების დროს არ დაწყებულა. წინა ხელისუფლების დროს,

7 გვ.

სასაცილო არ არის, 300 თუ 500 ლარის ქრთამის აღებისთვის ადამიანები ციხეში ისხდნენ, ხოლო 50 მილიონის გაფლანგვაში ბრალდებული გიგი უგულავა გარეთ „გულაობდეს“?

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გვესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჭავანაძე.

— ნაცმოძრაობაში არსებული დაპირისპირება მათი გაყრით დასრულდა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმით იყო გამოწვეული, რომ ამ პარტიას არ ყავს ისეთი ლიდერი, რომელსაც მიხეილ

სააკაშვილის მერე ხალხი გაყვებოდა. ბოლოს გიგი უგულავას კანდიდატურაზე შეაჩერეს არჩევანი, რომელსაც მართალია, ჩადენილი აქვს დანაშაულობები, მაგრამ სისხლში არ აქვს ხელები გასვრილი და ნაციონალებშიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს. ეტყობა, ამერიკელებმა უგულავაზე გააკეთეს აქცენტი, გაიხსენეთ ევროპარლამენტარების განცხადება, თუ უგულავას ციხიდან არ გაათავისუფლებთ, ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით, პრობლემები შეგექმნებათო. ეს არის საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, რა უფლება აქვთ უცხოელებს ასეთი რამ მოგვთხოვონ? მერე ალბათ ვანო მერაბიშვილისა და ბაჩანა ახალაიას გათავისუფლებასაც მოგვთხოვენ, თურმე ამათ ჭკუაზე უნდა ვიაროთ, ბოლოს ალბათ იმასაც გვეტყვიან ესენი მოიყვანეთ ხელისუფლებაში. უგულავას ლიდერობას სააკაშვილის მომხრეთა ფლანგი ეწინააღმდეგებოდა და იმიტომაც მოხდა ნაციონალების საბოლოო გაყოფა, „მეამბოხეებმა“ სახელიც გადაირქვეს. დარწმუნებული ვარ სააკაშვილის „ჩაჩოჩებაში“ დასავლეთის ხელი ურევია, რადგან მათ ყელში ამოუვიდათ სააკაშვილის ხუშტურები. საქართველოში ზოგიერთი კი ამბობს, სააკაშვილს ჩვენ მოვუგრიხეთ კისერიო, მაგრამ ვფიქრობ, ამაში ლომის წილი ამერიკელებს მიუძღვით, უკრაინიდან მისი გაძევებაც ამერიკელების გარეშე არ მოხდებოდა. უგულავას „აღზევებაც“ მათი „დამსახურებაა“, დასავლეთში რეაქციულ ძალებს სურთ, რომ საქართველოში ორპარტიული სისტემა მოქმედებდეს, ხან „ქართული ოცნება“ იყოს ხელისუფლებაში, ხან ნაციონალების „პროგრესული“ ფრთა. ეს უკანასკნელიც ისეთივე ნაგავია, როგორიც ნაციონალები, გველმა ტყავი რომც შეიცვალოს, მაინც გველად რჩება. ხალხს ქუჩაში რომ ხოცავდნენ, არბევდნენ და ციხეში სვამდნენ, ვინმეს მოუსმენია უგულავას პროტესტი? ცხინვალში მხედართმთავარივით რომ ხელმძღვანელობდა ქართველ მეომრებს, რა უფლება ჰქონდა თბილისის მერს რომ საომარ მოქმედებებში ჩართულიყო, რომელი დიდი სამხედრო სტრატეგი ეგ მყავდა, კეზერაშვილის არ იყოს, ნარკოტიკებით გაბრუებული ნაპოლეონივით რომ იდგა იქ და ბოლოს უკან მოუხედავად მოკურცხლა. რუსთაველის გამზირზე ის სამარცხვინო კონცერტი რომ ჩაატარეს და უგულავა ბოლო ხმაზე გაჰკიოდა, ამას არ გაპატიებთო, რა მოიმოქმედა რუსების დასასჯელად? ამიტომაც ვფიქრობ, რომ ვინც არ უნდა იყოს ნაციონალების ლიდერი, ხალხს მათ მიმართ გული არ მოუბრუნდება, ხელისუფლება რომ ისე უნიათოდ არ მოქცეულიყო, ნაციონალები არჩევნებზე იმ ხმებსაც ვერ მიიღებდნენ, რაც მიიღეს.

— მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მაკეინისა და მის თანმხლებთა საახალწლო ვიზიტი, სწორედ გიგი უგულავას ციხიდან გამოშვებას ემსახურებოდა. ჯონ კერის მოულოდნელი სტუმრობაც „მეამბოხეებისთვის“ მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით ხომ არ იყო გამოწვეული?

— დაზუსტებით ვერ გეტყვით რა მიზნით ჩამოვიდა კერი, ვფიქრობ, გარკვეული ინსტრუქციები მისცა ე.წ. პროდასავლელებს. დარწმუნებული ვარ მაკეინიც არ ჩამოსულა ასე ვთქვათ, ტყუილად. საქართველოს ხელისუფლების ნაწილი რომ მაკეინისა და ჰილარი კლინტონის კოსმოპოლიტურ ფრთას ემორჩილება, ეს დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. სამწუხაროდ ხელისუფლებამ კიდევ ვერ გაიგო, რომ ამერიკაში შეიცვალა რუსეთის მიმართ დამოკიდებულება. მთელი მსოფლიო ცდილობს რუსეთთან ურთიერთობები გაიუმჯობესოს, განსაკუთრებით სირიის ომის შემდეგ, მაკეინი კი ამბობს, ახალი ფრონტი უნდა გავუხსნათ პუტინსო. რა ფრონტს უხსნის, მსოფლიოში პოლიტიკური ვექტორი იცვლება, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებაც უნდა გამოვიდეს სააკაშვილის რიტორიკიდან. დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს, აგერ უკვე მიდის საუბარი, რომ ისტორიულ სამაჩაბლოს სახელი შეუცვალონ და სამხრეთ ოსეთის მაგივრად ალანია დაერქვას, ისევე როგორც ჩრდილოეთ ოსეთს ჰქვია, ანუ ყველაფერი მიდის ამ მხარის რუსეთთან დაახლოებისკენ. მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიები დაკარგული აქვს, არ ელაპარაკებოდეს იმ ქვეყანას, რომელსაც ეს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. ნაცარქექიასთან და კომბლესთან „მებრძოლმა“ ხალხმა სჯობია, საქართველოს ისტორია წაიკითხოს, ქართველ მეფეებსაც არ სიამოვნებდათ შაჰისა და ყაენის კარზე სიარული, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიდიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდათ გარანტია ცოცხლები დაბრუნდებოდნენ.

ახლახანს ისრაელის პრეზიდენტი სტუმრობდა საქართველოს, მაინტერესებს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რაზე ისაუბრა თავის კოლეგასთან. ცოტა ხნის წინათ, ქნესეთმა (პარლამენტი) მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეებისგან განსხვავებით, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებს აეკრძალათ ემიგრანტის ლეგალური

სტატუსის მოძიება ისრაელში, გარდა ამისა, **ხშირად მოისმენთ იქ მცხოვრები ქართველები რომ თითქმის მონურ მდგომარეობაში არიან. მართალია, ისრაელთან უვიზო რეჟიმი გვაქვს, მაგრამ შეიძლება საზღვრიდანვე უკან გამოგაბრუნონ. დალოცვილო, თუკი იმას ამბობ, რომ საქართველოსთან 26-საუკუნოვანი მეგობრობა გაკავშირებს, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, სადაც ებრაელებს არ დევნიდნენ, ასე გვიხდით სამაგიეროს, ეს არის მეგობრობა, იქ ხომ დალხენილი ცხოვრების გამო არ მიდის ეს ხალხი?** ამხელა ზარზეიმით რომ მიიღეს ისრაელის პრეზიდენტი, არ უნდა ეკითხათ მარტო საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებს რატომ შეეხოთ ხსენებული აკრძალვა?

მე ერთი რამ მაინტერესებს, როდის გვეღირსება ის ვიზალიბერალიზაცია, რომელიც აქამდე უნდა მიგვეღო და ავანსად გვადღესასწაულეს? რომ ამბობენ ორი რუსეთი არსებობსო, ისევე არსებობს ორი ამერიკაც, მარტო ე.წ. ლიბერალების ამერიკის გარდა ჯანსაღი, პატრიოტული ძალების ამერიკაც არსებობს, ამის მაგალითია ტრამპი და მისი მხარდამჭერები, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს სცემენ პატივს, ოჯახი, სარწმუნოება და ა.შ. მეორე ფრთა კი რეალურად ფაშისტები არიან, მაგათ რომ მოეგოთ საპრეზიდენტო არჩევნები, არ ვიცი როგორ განვითარდებოდა მსოფლიოში მოვლენები. შამწუხაროდ საქართველოს ხელისუფლების ნაწილი, პარლამენტის გარკვეული ფრთა ჩუგოშვილის ხელმძღვანელობით, სწორედ ამ მეორე ფრთას ემორჩილება. ახლად შექმნილ საკონსტიტუციო კომისიასა და ფარული მოსმენების საკითხებზე მომუშავე ჯგუფში ის ხალხი შეიყვანეს, რომლებზეც ყოფილი პრემიერ-მინისტრები ამბობდნენ სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწვიანო, ისევ საია-ს, გიგაურის კანტორას და მისთანებს უნდა კითხონ ჭკუა, ეს იმიტომ ხდება, რომ დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას მიუთითებს ამათთან ითანამშრომლოს. არ შეიძლება დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლება ასე უსიტყვოდ ემორჩილებოდეს მავანთა მოთხოვნებს.

— ფაქტია ეს „მავანნი“ კვლავაც ინარჩუნებენ გავლენებს. უგულავა, რომელსაც 40 თუ 50 მილიონის გაფლანგვას ედავებოდნენ, მცირე სასჯელი მიუსაჯეს და ისიც არ მოახდევინეს ბოლომდე.

— ჯოკია ბოდოკიას ამაზე გაცილებით ნაკლებ თანხაზე ედავებოდნენ და მკაცრი სასჯელი გამოუტანეს, სხვები კიდევ უფრო ნაკლები თანხების გამო დაისაჯნენ, მებაჟეებსა და მეტყევეებს იჭერენ ქრთამი აიღოო, უგულავამ კი ამდენი ფული შეჭამა და ვითომ არაფერი, დღეს დისიდენტი გახადეს, „წამებული გმირია“. მარტო „სითი-პარკის“ შემოყვანისთვის, რომელიც ბაყბაყ დევივით აზის თბილისს, მწარედ უნდა ეგო პასუხი უგულავას, კიდევ რამდენი ფინანსური დარღვევები იყო მისი მერობისას, რაც მე ვიცი. ქალაქში რაღაც ხომ გაკეთდაო, ნახევარ ბიუჯეტს რომ შეჭამ და რაღაცას გააკეთებ, ეს არის საკმარისი? ასე ყველა მიითვისებს მილიონებს და ჩაჯდება მერე 1-2 წლით ციხეში, რა პრობლემაა, მით უმეტეს დღევანდელი სასჯელაღსრულების სისტემა სააკაშვილის ციხესთან შედარებით კურორტია. ისე უგულავას მართლა არაფერი ეტყობა ციხიდან გამოსულის, კურორტიდან დაბრუნებულს უფრო ჰგავს. სულხან მოლაშვილი და სხვა პატიმრები ციხიდან დაავადმყოფებული გამოვიდნენ, მათმა უმეტესობამ ვეღარ იცოცხლა, შეადარონ უგულავა იმათ. მე არავის ციხეში ჩალპობას არ ვითხოვ, დააბრუნონ, რაც ხალხს მოპარეს და გაათავისუფლონ, რა პრობლემაა. ვიღაცეების გალახვა კი ნუ გვიხარია, ხელისუფლებამ ყველა დამნაშავეს სამართლებრივად აგებინოს პასუხი. ისე, რაღაც ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს უგულავას ციხიდან გამოსვლა და გვარამიას გალახვა, რასაც ფსევდოლიბერალების მხრიდან დიდი აჟიოტაჟი მოყვა, სიმართლე გითხრათ, დადგმული პროვოკაცია მგონია, რომ საზოგადოების ყურადღება სხვაგან გადაეტანათ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მინდა მადლობა ვუთხრა პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ეს უმწვავესი პრობლემა ეროვნული ღირსების კუთხით გაახმოვანა

5 გვ.

ზოგიერთები ამ ბიზნესს სააკაშვილის მთავრობის წევრებს უკავშირებდნენ..

— ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ მსგავსი ტიპის დაწესებულებას მფარველი თუ არ ჰყავს, ან თანხებს დროულად არ იხდის, პოლიციას აუცილებლად გაახსენდება, რომ იქ პროსტიტუცია ყვავის, კლიენტის უფლებები ირღვევა და ა.შ. სინამდვილეში. უარესი ამბებიც ხდება, რადგან დაწესებულებაში, რომელიც პროსტიტუციის მიმართულებით მუშაობს, ნარკიტიკებიც

არის, ფსიქოტროპული საშუალებებიც, ალკოჰოლიც და ა.შ. თუ აღნიშნული პრობლემის მოგვარება გვინდა, მხოლოდ აღშფოთებაზე და შეურაცხყოფაზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ. უნდა მივიღოთ კანონი, რომელიც ჩვენს ღირსებას და ჩვენს არასრულწლოვან გოგო-ბიჭებს დაიცავს. დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნულ ბიზნესს შსს მაღალჩინოსნები მფარველობენ , რაც მათთვის უზარმაზარი და სტაბილური შემოსავალია და ამ ფულზე უარს არაფრით არ იტყვიან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ გარკვეული თანხები საკანონმდებლო ორგანოსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მიდის, ამიტომ კანონის გამკაცრება ხელს არ აძლევთ.

— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ? რამე კონკრეტული ფაქტები გაქვთ?

—პირველად თქვენს გაზეთთან ვამბობ, რომ ბათუმიდან მივიღეთ ვიდეომასალა, რომელიც მაღალჩინოსანი პოლიციელის კაბინეტშია გადაღებული. ვიდეომასალიდან ჩანს, რომ ზემოთ ხსენებულ საქმიანობაში ჩართული პოლიციელების სამსახურიდან გაშვების პროცესი დაიწყო. წესით, ასეთი ადამიანები მხოლოდ სამსახურიდან კი არ უნდა გაუშვა, კანონის თანახმად, პასუხიც უნდა აგებინო, რადგან ასეთი დამოკიდებულებით ვერაფერს შევცვლით. ვიდეომასალა უკვე გაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროში და ველით რეაგირებას, რომელიც მას მოჰყვება. მინდა მადლობა გადავუხადო შსს იმ თანამშრომლებს, რომლებიც გვერდით გვიდგანან და სამართლებრივ კონსულტაციას გვიწევენ. სწორედ ასეთი დახმარების წყალობით, კანონმდებლობის დაცვით მოვახერხეთ აღმაშენებლის გამზირზე მდებარე რამდენიმე ღამის კლუბის დახურვა. ეს მაშინ მოხდა, როცა შსს მინისტრმა ზემოთ ხსენებულ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. მინდა მადლობა ვუთხრა პრემიერს, რომელმაც ეს პრობლემა ეროვნული ღირსების კუთხით გაახმოვანა, მაგრამ მთავარია, ამას საკანონმდებლო ცვლილებები მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერწმუნეთ, არაფერი შეიცვლება.

ნელი თორდია
571 35 36 88

მეუფე მელქისედეკი:

ჩემნაირ უბრალო ადამიანს სურვილი რომ გაუჩნდება, იმ ბარძიმს ემთხვიოს, რომლითაც მამათმავალი არაა ზიარებული, მაშინ იქნება განწმენდილი ეკლესია

ინტერვიუ სლავური დიასპორების საეგზარქოსოში ვენეციისა და ვენეტას საეპისკოპოსოს დროებით მმართველთან ფინეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში, ეპისკოპოს მელქისედეკთან (დიაკონიძე), რომელსაც იტალიაში დავუკავშირდით.

— როგორ ბრძანდებით, მეუფევ? დიდი ხანია, საქართველოში აღარ მოღვაწეობთ, რატომ ჩამოშორდით ქართულ ეკლესიას?

— მადლობა ღმერთს, კარგად ვარ. მინდა შობა-ახალი წელი მიცულოცო მთელ საქართველოს, ყველა მართლმადიდებელს და ვუსურვო: ან წელს მაინც მოესმინოთ უფლისთვის, საკუთარ თავში ვშვათ სიყვარული, თავდადება და თავგანწირვა სამშობლოსათვის.

ჩემს დროებით დაშორებას ქართულ ეკლესიასთან გარკვეული მიზეზები აქვს, მაგრამ, უპირველესად, როცა საკითხი სამშობლოს ეხება, მის ავ-კარგთან გვაქვს საქმე, პირადული ყველამ გვერდზე უნდა გადავდოთ. მერე რა, რომ მე სასულიერო პირი ვარ, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს ეკლესიაში ძალიან ბევრი ცრუ სწავლებაა. ამბიონებიდან ისმის, რომ ჩვენ აუცილებლად კარგად ვიქნებით, მაგრამ როგორ ვიქნებით კარგად, როცა ქვეყანა თავზე გვემხობა?! არავითარი პატრიორული მოწოდება, არავითარი შემართება ნებისმიერი დონის ქადაგების დროს, თუნდაც კერძო მღვდელმსახურებაში, სამეუფო ქადაგება იქნება თუ საპატრიარქო, არსად არ ისმის ბრძოლის სირვილი. ამბობენ: ნუ გეშინიათ. არ გვეშინია, ბატონო, რას გვაძახებთ?! პირიქით, ბრძოლა გვინდა უკეთურის წინააღმდეგ.

დიახ, ეკლესიიდან წავედი, თუმცა არ ყოფილა არც ზეწოლა, არც ქვეწოლა და არც გვერდით დგომა, მით უმეტეს.

— გვერდით დგომა რაში გჭირდებოდათ?

— როცა ვამბობდი, გამოვიდეთ მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგ-მეთქი, კაციშვილი არ დამდგომია გვერდით, პირიქით, ყველა საკუთარი კეთილდღეობისთვის იღვწოდა ტყავის გადასარჩენად. ახლა ამბობენ: საპატრიარქოში შორენა თეთრუაშვილი რუხი კარდინალიაო. შეიძლება რუხმა რუხი ფერით გამოიცნოს?! საქართველოში ადამიანები ყველა ხერხით ბუზს გადაგიქცევენ სპილოდ, საკუთარი სპილო რომ თვალს მოარიდონ.

მის უწმიდესობაზე ამბობენ, სუდარაგადაფარებული ეკლესია ჩაიბარაო. ჯერ არავის გადაუხდია ის სუდარა და როგორც კი ამ „გადასაფარებელს“ წაავლეს ხელი, ატყდა ერთი ამბავი...

სუდარაგადაფარებული, ხომ მკვდარს ნიშნავს?! სუდარაგადაფარებული თუ იყო, მაშინ მკვდარი ყოფილა და მკვდრის გამცოცხლებელი ერთი იესო ქრისტეა, დიდება მის სახელს.

— ანუ რას ბრძანებთ, მკვდარია ჩვენი ეკლესია?

— გარედან ლამაზია, გვირგვინებიც აქვს გარშემო შემოწყობილი, ოქროს და ვერცხლის ჯვარ-ხატებითაა შემკული, ბრჭყვიალა ტანსაცმელში დადიან ჩვენი მღვდელმსახურები. ვაი, საყვარელო — „სამძიმარზეც“ კი ჯიპებით დადიან, ზეიმობენ, მაგრამ რას ზეიმობენ, კაციშვილმა არ იცის.

ეს მოზეიმე ნაწილი, სხვათა შორის, ახლაც კმაყოფილია იმით, რომ ზვიად გამსახურდია მკვდარია.

მათი მორალი არ გასწორდება.

„არ გათეთრდების ყორანი“...

იმიტომ ვარჩიე სხვა ქვეყანაში წასვლა, რომ ეკლესიაში მე არ ვეძებ კეთილდღეობას.

არავინ იფიქროს, რადგან ეპისკოპოსის რანგში ამამაღლეს, გავჩუმდები და საშოვარსგადაგებულების და გათითოკაცებულთა რიგში აღმოვჩნდები. თუკი ჩემს სამშობლოს ჩემგან რაიმე დასჭირდება, რიგითი ჯარისკაცი ვიქნები.

ადრეც ვამბობდი და კიდევ ვიტყვი, რაც ქვეყნიერებაზე და ქვეყნიერების მიღმა ოქრო-ბრილიანტი და სიმდიდრეა, ვერ გადაწონის ჩემი სამშობლოს ფასს.

არადა, სამშობლოს ყიდის დღეს სულყველა. ვინც ამას ხედავს და არაფერს ამბობს, ისიც ამ ყიდვა-გაყიდვის მონაწილეა. ვერ დავუკრავ კვერს ქართულ ეკლესიას იმიტომ, რომ, რაც ახლა ქვეყანაში ხდება — მიწების გაყიდვა, უსამართლობა, ქართველების ქვეყნიდან გაქცევა, ამაზე ეკლესიაში ერთს რომ წამოიკნავლებენ, ეს არ შველის ჩვენს უბედურებას.

— მეუფე პეტრე (ცაავა) ხომ აცახადებს, საპატრიარქოში დღეს არსებული პრობლემები ერთი ადამიანის — შორენა თეთრუაშვილის სახელს უკავშირდებაო. ანუ მხილება იწყება?

— შორენას მგალობელი არა ვარ, მაგრამ ერთს ვიტყვი — მოხუცი პატრიარქის ყურება მოსწყინდათ ზოგზოგიერთებს და ახალი პატრიარქი უნდათ.

შორენა ენერგიული ქალბატონია. ის პატრიარქზეა გადაფოფრებული. ცისანა შარტავა, შესანიშნავი ექიმი, სხვა მათი თანამოაზრეები იცავენ პატრიარქის ჯანმრთელობას. თუმცა, სიმართლე ბოლომდე ვთქვათ: კერძო სიყვარულის გარდა, პატრიარქის სიახლოვეს მდგომ პირებს ძალაუფლების ბერკეტების ხელიდან გამოცლის ეშინიათ და ამიტომაც იცავენ უწმიდესს ასე თავგამოდებით.

შორენა თეთრუაშვილი

ვითომ შორენას რომ ამხელს, პეტრე ცაავას დააპვირდით, ლენინს არ ჰგავს?

საკურთხეველში მოვკარი ერთხელ თვალი. პირჯვარი გადავიწერე — უქუდოდ იყო, მელოტია, ყურები წვეტიანი აქვს, წვერი რომ დაუმოკლო, ლენინის ზუსტი გამოსახულებაა. მაგასაც მოუნდა პატრიარქობა. რატომაც არა? — ფიქრობს, ალბათ. შორენას თუ მოვიშორებთ, პატრიარქის განეიტრალება უფრო იოლი იქნებაო, ეს აქვს, როგორც ჩანს, განზრახული და გადაწყვიტა, თეთრუაშვილის წინააღმდეგ გაილაშქროს.

მაგას სხვაზე რა აქვს სალაპარაკო, ერთად იკეთებდნენ წამალს ეგ და ახალაიები.

— შორენა თეთრუაშვილი მართლა ასეთ დიდ ძალაუფლებას ფლობს?

— მარტო შორენა კი არა, საპატრიარქოში ისეთ ადამიანებს აქვთ ძალაუფლება, რომლებსაც არ უნდა ჰქონდეთ.

რუის-ურბნისის კრებას ითხოვს ზოგიერთი. იმ კრებას რომ არ დაემორჩილა, 150 მღვდელმთავარს ქუსლები დააჭრეს მაშინ. დღეს ზოგიერთი მუხლებშია გადასაჭრელი. საშინელებები ხდება ქართულ ეკლესიაში და ასეთ საპატრიარქო ტახტზე პეტრე ცაავასნაირი იჯდება, ნიკოლოზი თუ დანიელი, არ აქვს მნიშვნელობა. სახარების არ იყოს, არა ადგილი წმენდს კაცს, არამედ კაცი წმენდს ადგილს. თუ ადამიანის ხელი ცოცხს არ მოხვდა, შემოგარენი თავისით არ გაიწმინდება. ამიტომ ვამბობ, როცა იქნება, პატიოსანი თავი უნდა დაედგას ტახტს, მერე განიწმინდება ეკლესია და არა ისე, შორენა მოვიშოროთ. თუ შორენას მოიშორებენ, სხვა შორენა გამოჩნდება და ყველაფერი ისევ ისე იქნება, როგორც არის.

ბასილ მკალავიშვილის აშენებული ეკლესია რომ შეანგრიეს „კამაზით“, მაშინ დაიწყო ბრძოლა მართლმადიდებლობისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, მაშინ არ ამოიღეს ხმა და ახლა ნახონ. გლდანში ეკლესიის დარბევა მონაგონი იყო, აწი იწყება მთავარი დარტყმები.

ყველაფერს რომ უჩუმდებოდნენ, ისეთ მღვდელმთავრებს ჩიპიანი ჯიპები რომ დაურიგეს, მაშინ მე ფეხი მტკიოდა და ხელჯოხით დავდიოდი. ვხუმრობდი კიდევაც, ჩემს ხელჯოხს ჩიპი არ უყენდება-თქო, მაგრამ, ნეტავ ჩიპი ჩაეყენებინათ ჩემს ხელჯოხშიც და ტელეფონშიც, როგორც პატრიარქმა ბრძანა: კარგი იქნებოდა, თუ მომისმენდნენ, მიშას ხელდასმული და ნალოლიავები ეპისკოპოსები დღესაც რომ შესანიშნავად გრძნობენ თავს, იმას მაინც გაიგებდნენ, მაგალითად, ქუთათელ-გაენათელმა მთავარეპისკოპოსმა მარგალიტაშვილმა საჯარო რეესტრში თავის მისამართზე პირად საკუთრებად რომ დაარეგისტრირა ეპარქია. ამობეჭდვა მინდოდა ამ დოკუმენტის და თქვენთვის წამოღება, მაგრამ 150 თაბახის ფურცელზეა ჩამოთვლილი ეპარქიის ქონება, რომელიც ახლა უკვე მარგალიტაშვილის საკუთრებაა. შეგიძლიათ კომპიუტერით ნახოთ, საჯაროა ეს ინფორმაცია.

ბერბიჭაშვილზე რატომ არაფერს ლაპარაკობენ, 500 000-ევროიან სახლში რომ ცხოვრობს. სად ჰქონდა მღვდელმსახურს ამხელა ფული. ერთოთახიანი ბინა არ ეყოფოდა ლოცვისთვის და მოწყალების გასაცემად?!.

300 კვ.მ სახლში ცხოვრება, ორი მანქანა და ავტოფარეხი რად უნდა მადლის ქმნას?!

პეტრე ცაავამ რაც ჩაიდინა, იმის გამეორებაც არ მინდა. დაუკავშირდით ილია ზუკაკიშვილს და გეტყვით, რა კაცია პეტრე ცაავა.

— რა ჩაიდინა ასეთი?!

— სახლ-კარი ჩუმად გაუყიდა ილია ზუკაკიშვილს, მერე გაიქცა ყაზბეგში მონასტერში დღეს მეუფე პეტრე, სინამდვილეში პაატა ცაავა, რომელსაც კარგა ხანს დაეძებდა ჩემი მეგობარი ილია ზუკაკიშვილი. მერე ერთ შეკრებაზე მოვიდა, მხარზე ხელი დამადო მაღალი ხარისხის მღვდელმსახურმაო, შევხედე და პაატა ცაავა შემრჩა ხელთო, გამოვცდიო, მიყვებოდა ილია ზუკაკიშვილი.

— როგორ ამაღლებენ ასეთ ადამიანებს მაღალ სამღვდელო ხარისხში?

— ეკლესიაში სისუფთავე რომ არ არის, სულმდაბლებს ამაღლებენ, ჩემო კარგო.

მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა)

მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)

ლენინის დირექტივა იყო, საზოგადოების ყველაზე ზნედაცემული ფენები ეკლესიაში წარმატებული ყოფილიყვნენ, ხალხის თვალში ეკლესიის ავტორიტეტი რომ დაცემულიყო.

კარგად გადახედეთ ყველაფერს. ყომარბაზი და „ზილის“ მძღოლი იყო შოთა მარგალიტაშვილი. დიდძალი ფული წააგო და წამოვიდა ეკლესიაში...

სავლე ქრისტიანებს დევნიდა და პავლე მოციქული გახდა, მაგრამ ვერ დადგება ამათგან პავლე. უფლის ნებასთან ერთად საკუთარმა გულმა და გონებამაც უნდა მიგიშვას ღმერთამდე, თუმცა თუ გული და გონება ბოროტს ეკუთვნის, ღვთის გზაზე ვერ შედგები.

ეკლესიაში როგორც კი მოხვდნენ, დაინახეს,. რომ ფულის აღება კარგია ისე, რომ ამისთვის არავინ არაფერს მოგკითხავს და პასუხსაც არავინ მოგთხოვს.

— რწმენა?

— რწმენა სადაა, ჩემო კარგო.

მამათმავლობას რომ მოიშლიან და ჩემნაირ უბრალო ადამიანს სურვილი გამიჩნდება, იმ ბარძიმს მივეკარო, რომლითაც მამათმავალი არაა ზიარებული, მაშინ იქნება განწმენდილი ეკლესია.

— სახელს უტეხენ ეკლესიას, თორემ ასეთი რამ ახლა რომ ხდებოდეს, მგონი, არავინ გაჩუმდებოდა.

— წლების წინ სვეტიცხოველში ვმსახურობდი. იქ ამბობდნენ, პატრიარქს ლამაზი ქალები უყვარსო და იკრიბებოდნენ ქალები მის სიახლოვეს. სასაცილოდ არ მყოფნიდა ეს ამბავი, რადგან რაც არ შეესაბამება სიმართლეს, იმას არც არავინ გაიმეორებს.

ვინც იცის, რაც ხდება დღეს ჩვენს ეკლესიაში და ხმას არ იღებს, მერე, დრო როცა შეიცვლება და ლაპარაკს დაიწყებენ, ენა უნდა ამოაძრო ისეთ ადამიანებს. არაერთხელ მაქვს ნათქვამიც და დაწერილიც, თუ რაიმე შემიცოდავს, ან რაიმეზე, ნებსით თუ უნებლიედ, თვალი დამიხუჭავს, შენდობას ვითხოვ. დავბეჭდე კიდევაც თქვენს გაზეთში ჩემი ე. წ. მონანიება. წაკითხული აქვთ საპატრიარქოში, წინ უდევთ, მაგრამ ვერაფერს მეუბნებიან. რა უნდა მითხრან, ბოდიშს ვუხდი იმ წერილში ყველას — მაპატიეთ, როცა საჭირო იყო, ცხვირში რომ არ მოგცხეთ-მეთქი.

მოგეხსენებათ, ქართული ეკლესია სახელმწიფოსგან ფინანსდება 25 მლნ ლარით. ამ თანხიდან ერთ-ერთ მიტროპოლიტს, სახელს არ დავასახელებ, 8 მლნ-ზე უდევს თათი. 8 მილიონი ყოველ წელიწადს მისია. 25 მლნ შესდის წელიწადში ეკლესიას მაშინ, როცა ბანკებმა შეჭამეს საქართველოს მოსახლეობა, იმ ბანკებმა, ანაფორის ქვეშ რომ ჰყავთ შეფარებული ხაზარაძეებიანად ქართულ ეკლესიას, იმ 25 მლნ-დან არ შეიძლება 25 კაცი გამოიხსნან ბანკის მარწუხებიდან? სახლ-კარს რომ კარგავს და ნაგვის ბუნკერში რომ წევს, ის ადამიანი ფიზიკურად და სულიერად გამოიხსენი. სხვა შემოსავალი თუ არ აქვთ, პატრიარქი იქნება თუ სხვა ვინმე, უნდა თქვან — აქ კი ნუ მოგაქვთ, მაგალითად, ის, 5 მლნ მოახმარეთ გაჭირვებულ ადამიანებს.

ამ საშობაო დღეებში ბევრი მხილება კი გამომივიდა, მაგრამ ისევ ჩვენი და ჩვენი ეკლესიის სიკეთისთვის ვამბობ ამას. ღმერთმა დალოცოს საქართველო და ქართველი ერი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„მეორადი“ საქართველო

საქართველო, რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგვეჩვენოს, მეორადი საქონლის იმპორტიორ ქვეყნებს შორის მოწინავეთა რიგებშია.

აგერ უკვე თითქმის 20 წელია, საქართველოში მეორადი საქონლით ვაჭრობა ერთ-ერთი მომგებიანი დარგი გახდა. ჩამოაქვთ და ყიდიან ყველაფერს — ავეჯს, ავტომობილებს და ათასი დასახელების საქონელს.

სამწუხარო ფაქტია, რომ ზოგჯერ მეორადი საქონლით ვაჭრობა მახინჯ ფორმას იღებს.

დედაქალაქში გარე ვაჭრობა აღარავის უკვირს, ლამის ქალაქის განუყრელ ატრიბუტად არის ქცეული. რომელიმე უბნის გამორჩევა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ „ფავორიტად“ ვაგზლის მოედნის ტერიტორია უნდა დავასახელოთ. ყველაფერთან ერთად, ქუჩაში მეორადი ტანსაცმელიც იყიდება. თუმცა, ქუჩაში გამოტანილ საქონელს ვერც ტანისამოსს და ფეხსაცმელს ვერ დავარქმევთ და ვერც მეორად საქონელს. თუ დავკონკრეტდებით, ძონძები უფრო მიესადაგება ამ გაურკვეველ ნივთებს, რასაც ქუჩაში შეხვდებით. ფასებიც ძონძების შესაბამისია და 50 თეთრიდან იწყება!

ჩვენდა სამწუხაროდ, ძონძებს, სავარაუდოდ, მყიდველიც უნდა ჰყავდეს, რადგან ზოგიერთ მოვაჭრეს, როგორც ჩანს, სამუდამოდ აქვს დაბუდებული — ვაჭრობის დასრულების შემდეგ საქონელს ცელოფნებს აფარებენ და იქვე ქუჩაში ტოვებენ, რადგანა მეორე დღეს ისევ იქ უნდა მივიდნენ. საიდან მოაქვთ ასეთი მდარე პროდუქცია, არც ერთი გამყიდველი ამას არ გეტყვით. რა თქვენი საქმეაო, აქეთ შემოგიტევთ. როგორც მეორადი ტანსაცმლის იმპორტიორები ამბობენ, გადაყრილ ნივთებს აგროვებენო. „რა ვქნათ, ბატონო, მათი საქონლის ჩვენც გვრცხვენია და აბა, ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ. უბრალოდ, სირცხვილია, რასაც ეგენი ყიდიან. მაგათი კონკურენციის ნამდვილად არ გვეშინია, მაგრამ ძონძებით გარე ვაჭრობა, მით უფრო, ქალაქის ცენტრში, მართლაც მიუღებელია“, — გვითხრა ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა, ქალბატონმა ნუნუმ.

ძნელია, არ დაეთანხმო ქალბატონს, რომ დედაქალაქის ცენტრში ძონძებით ვაჭრობა მართლაც სირცხვილია. ჯერ ერთი, დედაქალაქის უამრავ სტუმარს უხდება ვაგზლის მოედანზე გასვლა, თუნდაც ქვეყნის რეგიონებში წასასვლელად. ამის გარდა, ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან ჩამოსულები აუცილებლად სტუმრობენ „დეზერტირების ბაზარს“. ახლა ვიკითხოთ, რა შთაბეჭდილება დარჩებათ ქვეყანაზე, სადაც ძონძები იყიდება. მით უფრო, ქალაქზე, რომლის მოსახლეობაც საბჭოთა პერიოდში ჩაცმა-დახურვის მაღალი გემოვნებით გამოირჩეოდა. ვინც იცნობს საქართველოს, გაუკვირდება, მაგრამ პირველად ჩამოსულ ადამიანს, რბილად რომ ვთქვათ, კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დარჩება ჩვენზე.

ძონძებით ვაჭრობით დედაქალაქის იერსახის დამახინჯება ერთი უბედურებაა. საერთოდაც, საკითხავია, თუ ამოწშებს ვინმე შემოსულ მეორად საქონელს, რამდენად შეესაბამება სანიტარულ ნორმებს? როგორც უკვე ვთქვით, მეორად საქონელში ყველაფერი იყიდება, მათ შორის ქალის საცვლებიც! ნუთუ, ჩვენს ქალებს ახალი საცვლების ყიდვის საშუალებაც აღარ აქვთ, თუ, უბრალოდ, ტრადიცია გახდა მეორადი, სხვისი გამონაცვალი ტანისამოსის შეძენა?

ტანსაცმლიდან რომ უამრავი დაავადების გავრცელებაა შესაძლებელი, ყველას კარგად მოეხსენება. განსაკუთრებით საფრთხეს წარმოადგენს ფეხსაცმელი. არათუ ნახმარი, სულ ახალი ტუფლიდანაც შეიძლება დაემართოს ადამიანს სოკოვანი დაავადება, აღარაფერს ვამბობთ გაურკვეველი ქვეყნიდან ვიღაცის გამონაცვალზე.

ვიმეორებთ, ბიზნესის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ქვეყანაში არათუ მეორადი ტანსაცმელი, არამედ, საერთოდ, ძონძებით ვაჭრობენ დედაქალაქის ცენტრში და ისიც ქუჩაში, ყველას თვალწინ, გაურკვეველი წარმომავლობის გამყიდველები. ქალაქში, რომელიც ყოფილ საბჭოეთში მოდის ერთ-ერთი კანონმდებელი იყო... ვერ დავიჯერებთ, რომ მთლად დავკარგეთ სიამაყის გრძნობა. ამიტომ ისეთი გამოსავალი უნდა მოიძებნოს, რომ არც ბიზნესი დავაზარალოთ და არც ღირსება შეგველახოს. როდემდე უნდა ვიაროთ სხვისი გამონაცვალი ტანისამოსით და მოძველებული მანქანებით? დროა, დავფიქრდეთ!

გია ბურდული
551 71 27 07

რა სარგებლობას მოგვიტანს მამალი მამლის წელიწადში?

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

დადგა მამლის წელიწადი და მოგვაყარა მამალმა გამოჩინჩლებული ამბები ოხრად...

ჩემს მარგველას ვენაცვალე, ეგ იხეირებს, თუ იხეირებს – რასაც მოახერხებს – მის სინდისზე იყოს და რასაც ველარ გაქაჩავს მდიდრულად – მამალს გადაულოცავს... მერე იქნება ჩვენთვისაც მორჩეს ცოტაოდენი დრო... არა, იმისთვის კი არა, კაცო, საქმისთვის, საქმისთვის, თორე მაგან ჩემს მტერს მიაბჯინა დეზი...

დარგო ჯაფარიძემ ახალ წელს ოფისში და რა დარგო ვერ გავიგე დღემდე... შსს–მ განაცხადა: – თუ მარიხუანას დარგავს, ასე ვუზამთ, ისე ვუზამთო...

გამოვიდნენ გირჩელები და: – დავთესეთ, მარა, რა დავთესეთო, დავთესეთ, მარა, რამდენი დავთესეთო...

სად მოაგროვეს მაინც ამდენი თესლი! მარიხუანის ბატონო, მარიხუანის.

გააკეთა ისევ შსს-მ განცხადება – ამ ფაქტზე მოკვლევაა დაწყებულიო...

რა მოკვლევა უნდა, თქვე კარგო ხალხნო, დათესეს, ყველა თესლს თავისი სახელი და გვარი დააწერეს, გადაიღეს, ტელევიზიით გვაჩვენეს, ინტერნეტში ატვირთეს...

აჰ, არაო, ამოვიდეს ჯერ, იქნება და „ტრუხაა“ და კაიფი არ მოაქო...

13 დღის შემდეგ დაფიქრდნენ, თუ მოსავალი ამოვიდა, არ ვიცი, მაგრამ ექსპერტიზაზე გააქანეს ნათესები... ჰოდა, კითხვა მაქვს, „ტრუხაა“ თუ მოაქ კაიფი, ჰა?

იდგა ამას წინათ შუა ქუჩაში დაბოლილი მამალი და გაჰკიოდა, გამოდით, უნდა დაგჩინჩლოთო... მოთხოვე ახლა პასუხი, ბოლოს და ბოლოს მამალია, ჯაფარიძე კი არა...

ჩვენი პრეზიდენტი რა კაცია და ხალხზე მზრუნველი კაცია, ასე ზრუნვა-ზრუნვით მოაწერა ხელი ლარიზაციის საკანონმდებლო პაკეტს... – უპასუხო კითხვები მაქვს საქართველოს პარლამენტთან და ერთვნულ ბანკთანო, მაგრამ ხელი მაინც მოვაწერეო... არსებობს საფრთხე რომ ონლაინ სესხების მომხმარებლები მევახშეებთან წავლენ და ამ შემთხვევაში პროცესს ვერ გავაკონტროლებ, მაგრამ დავაკვირდებიო...

გვიჭყიტინეთ ხო, სასახლიდან, გვიჭყიტინეთ... რომ არ გვეჯღანებით და ენას არ გვიყოფთ რეზიდენციიდან – მადლობელნი ვართ მაგაზეც...

400 მილიონი ერთეული ონლაინ სესხია გაცემული საქართველოში – მაშინ როცა ქვეყნის მოსახლეობა სულ 3,7 მილიონიაო, ჰოდა, ახლა ზოგი ონლაინ სესხი კი გადაკეთდება, ალბათ, მიკროსაფინანსოდ, მაგრამ მაგათსაც მოვუვლითო... აჰა, ბანკებო ბურთი და მოედანიო...

პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა დაგვამშვიდა: სესხების საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზედა ზღვარი 100%–ს არ გადასცდებაო... კაი, კაცო... მართლა? ანუ, ათასი ლარი თუ მასესხა მიკროსაფინანსომ – შეუძლია მშვიდი სინდისით კი არადა, მშვიდი კანონმდებლობით მომთხოვოს ორი ათასის დაბრუნება და მეტს მიმატანინებდა თქვენ რომ არ დაგვხმარებოდით? ასეა საქმე? ბარემ დაგვჩინჩლეთ, ბატონო... თუ სამადლობელოა, სამადლობელო იყოს...

არაო, პრეზიდენტმა, მე ჩემი მდიდრულიც მეყოფაო, თქვენ არ შეგეხებითო... და საერთოდაც, ჯიგარი ვარ მეო... ჯიგარიც ხართ, ბატონო პრეზიდენტო და კარგი ნათესავიც, ნუ, შეწყალების ამბავში, გულმოწყალების ამბავში... ნათესავებიც კარგი ბიჭები გყავთ – ძველი ბიჭების ამბავში, ნასამართლევი თუ გასასამართლებელი ბიჭების ამბავში... ზოგჯერ მგონია, სპეციალურად იქცევით ასე, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს ის უფლებებიც ჩამოართვან, რაც ახლა გააჩნია, მაგრამ „ზატო“ ჯიგარი ხართ... რაღაა იგი პრეზიდენტობა, რასაც ჯიგრობა არ ახლავს, არა?

ამასობაში დრო იხელთა ჯეჯელავამ და აიშვა, აიშვა და ჩვენი გაგიჟების მუღამშია, თუ, თავს იგიჟიანებს, ჯერ ვერ დავადგინე... ახლა სკოლების დაყოფა მოისურვა წამყვან და არაწამყვან სკოლებად... ჰოდა, ეს იმისათვის გვჭირდება, რომ არაწამყვან (ანუ „ბანძ“?) სკოლებში საჭირო არ იქნება მაღალკვალიფიციური და სერთიფიცირებული პედაგოგების აყვანა და დაფინანსებაც მცირე ექნებათო...

პრეზიდენტი, ჩვენი უენო, უთქმელი, მორიდებული, მაგრამ უგზო–უკვლოდ ჯიგარი პრეზიდენტიც კი შეაწუხა და შეძრა თქვენმა კანონპროექტმა და – დისკრიმინაციას გამოიწვევთო – შემოუთვალა აჯეჯილებულ ჯეჯელავას...

ეახლა ჯეჯელავა პრეზიდენტს, ეახლა და უკან გამობრუნებულმა დაგვამშვიდა – დავარწმუნე ჩემს სიმართლეშიო... ჰკითხეს – არგუმენტად რა მოიყვანეთო? – არა, არგუმენტი არ მქონდა, ისე დავარწმუნეო...

რატო, არგუმენტი სახლში დაგრჩათ? ტეხავს არგუმენტის ტარება? თუ ცეცხლსასროლი იარაღია და ტარების უფლება არ გაქვთ? აბა, ისე როგორ დაარწმუნეთ, დედა დაიფიცეთ? თუ, დედა დააფიცეთ?

არაო, ქიმიური ელემენტები ვიგულისხმე და პასკალის ბიოგრაფიაო... ცოტა ხანში მოგვიტრიალდა და გვეკითხება – რა საჭიროა ქართული ნაწარმოებებიდან საზეპიროების ცოდნაო... როგორ ავუხსნათ ბავშვებს შუშანიკის წამების ფაქტებიო...

ნაძლევს ჩამოვალ, ვისთანაც გნებავთ, რაზეც გნებავთ, რომ ეს სულ მალე, „ვეფხისტყაოსანსაც“ გადასწვდება... ისე შეპარვით, ისე დელიკატურად, ისე მელაკუდურად ეპარება „ვეფხისტყაოსანს“ ზღაპრებზე საუბრის დასასრულს, აი, იმ ძალადობრივ ზღაპრებზე საუბრისას... ისე საყვარლად გვაცოდებს თავს – მაძალებდნენ სკოლაში რუსთაველის პოემის შესწავლას და ამიტომ ვერაფერიც ვერ გავიგეო... ჰოდა, მალე აღმოაჩენს რომ ქაჯეთის ციხის აღება – პრობლემის სისხლისმიერად გადაჭრის გზაა, რომ ასთამი “იმნაირია“, რომ ნამდვილი ვაჟკაცები არ ტირიან – და საერთოდაც ზღაპრებში გაატარებს ამ უკვდავ პოემასაც...

რა არ მოსწონს ამ აფერისტ მინისტრს ჩვენი ზღაპრების ახლა მივზვდი – დასასრული... კეთილი დასასრული და კეთილი სიტყვები: – „ჭირი იქა, ლხინი აქა“...

იმიტომ რომ, ვაი და მერე ჩვენც მოვითხოვოთ ეს ლხინი და ბედნიერი ცხოვრება, საიდან მოგვიტანოს, სად გვიშოვნოს, ვის დაესესხოს?

გამოფხიზლდეს ერთი ეს დაბოლილი მამალი, მივუქსიო...

კოჰაბიტირებული წელი რომ გველის, ეს ცხადია, ახლა გვექნება თუ გვექნება სამარჩიელოდ, ვისი ვისაშია და ვინ ვის ჩინჩლავს, ან ვინ ვინ დაჩინჩლა უკვე...

ზიგმუნდ ფროიდის საიდუმლო

არც ერთ ფსიქოლოგიურ თეორიას არ ღირსებია ისეთი ყურადღება და პოპულარობა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ არ დაუმსახურებია ისეთი მკაცრი კრიტიკა, როგორც ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიას ხვდა წილად. ფროიდის შეხედულებები (თვით ფროიდიც) ყოველი მხრიდან და ნებისმიერი საბაბით ხდებოდა თავდასხმების, დაცინვის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების ობიექტი. ფროიდის ძირითადი „დანაშაული" მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ბავშვებში სექსუალური და დამანგრეველი ლტოლვების არსებობას აღიარებდა, ადამიანს ინცესტურ და გარყვნილ სურვილებს მიაწერდა და მის ქცევას სექსუალური მოტივაციით ხსნიდა. ადამიანისადმი ფროიდის მიდგომით აღშფოთებული ხალხი მას თავაშვებულ და გარყვნილს უწოდებდა. თუმცა ყოველთვის არსებობდნენ ადამიანები რომლებიც მას გენიოსს უწოდებდნენ და თვლიდნენ, რომ მას ფასდაუდებელი დამსახურება აქვს მთელი ფსიქოლოგიური მეცნიერების წინაშე...

1875 წელს, ჩვიდმეტი წლის ზიგმუნდმა, ვენის უნივერსიტეტში ჩააბარა. შემდეგ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა. 1881 წელს მედიცინის დოქტორის ხარისხს მიაღწია. შემდეგ კითხულობდა ნეიროფსიქოლოგიის კურსს, მაგრამ ძალიან მალე ჯერ პარიზში გააგზავნეს სტაჟირებისთვის.

მეცხრამეტე საუკუნის ოთმოცდაათიან წლებში გადადგა ფროიდმა პირველი ნაბიჯები ახალ დისციპლინაში, რომელსაც „მეცნიერება გაუცნობიერებელ ადამიანურ მიდრეკილებათა შესახებ"ეწოდა. ამ მიდრეკილებებში ფროიდმა იმთავითვე აღმოაჩინა უმთავრესი-თურმე ადამიანის სულის საფუძველს წარმოადგენს სქესობრივი ლტოლვები-ლიბიდური, სექსუალური და მათი ვარიაციები. მან „შეამჩნია", რომ ადამიანს სურს"შეერწყას" საკუთარ დედას(მამას), სურს მოჰკლას ერთი რომელიმე მშობელი, რათა დაეუფლოს მეორეს. არის კი საჭირო იმაზე ლაპარაკი, რომ ამ "აღმოჩენებმა", ისევე როგორც სხვა ფროიდისეულმა „მიგნებებმა", იგი დააცილა თავის ნათესავებს და ექიმ კოლეგებს. ფროიდს მარქსივით დოქტრინერისა და მეტაფიზიკის გონება ჰქონდა, ამიტომაც, მას ყველაფერი ერთ მიზეზამდე დაჰყავდა. ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა მისი შემდგომი ცხოვრება და როგორი ბედი ეწეოდა ფსიქოანალიზმს, აშშ- ში რომ არ აღმოცენებულიყო წმიდად ებრაულ-მასონური საერთაშორისო ორდენი-„ბნაი ბრიტი"(აღთქმის შვილები) და კიდევ, 1895 წელს ამ უზარმაზარი ორგანიზაციის ლოჟა ვენაშიც არ დაფუძნებულიყო არალეგალურად.

სწორედ ამ დროს შეხვდა ფროიდი „ბნაი ბრიტის" წევრს ედმუნდ კონს, რომელმაც ფროიდის ვენის ლოჟაში გაწევრიანების საკითხი განიხილა. ლოჟაში განდობა 1897 წლის 23 სექტემბერს მოხდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ფრანგი მკვლევარი ემანუელ რატიე წერს: „დოკუმენტების თანახმად, რომელთა შესწავლაც მოვახერხეთ, ჩანს რომ „ბნაი ბრიტმა" უდიდესი წვლილი შეიტანა ფროიდის საქმეში – როგორც თვით ფსიქოანალიზის კორპუსის შექმნაში, ასევე მის განვითარებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით".

1897 წლის 7 დეკემბერს „ძმა" ფროიდი ლოჟის სხდომებზე თავის პირველ „პლანშს" ქადაგებდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ითხოვდა ჩვეულება, არა ინიციაციით მიღებულ შტაბეჭდილებებზე, არამედ სიზმრების ინტერპრეტაციაზე ფსიქოანალიტიკურ მუშაობაზე, რომელსაც ის მომავალში უნდა გაჰყოლოდა ორდენში ფროიდის რეკომენდატორი ედმუნდ კონი შემდეგ იხსენებდა, რომ ფროიდის ყველა გამოსვლა ლოჟის სხდომებზე მის ფსიქოანალიტიკურ გამოკვლევებს ეხებოდა, რომელთაც „ბნაი ბრიტის" ლოჟაში თავის „ძმებს" აცნობდა. გარდა ამისა, აღნიშნავდა, რომ ფროიდი მთლიანად უძღვნიდა საკუთარ თავს ლოჟისადმი მსახურებას, მასში ყოფნის პირველივე დღიდანვე... იგი, ყოველივე ამას ჭეშმარიტებისადმი ფანატიკური ერთგულებით აკეთებდა... მისი კონფერენციები ყოველთვის ლოჟის დღესასწაულები იყო..." 1926 წელს" ბნაი ბრიტი" უკვე ამაყობდა თავისი წევრით და იმითაც, რომ სწორედ ის გახდა ძალა, რომელმაც ფსიქოანალიზი მსოფლიო მოძღვრებად შეჰქმნა და ამ საქმეში მრავალი სახსრებიც დააბანდა, როდესაც ამ სწავლებას უწევდა ექიმებს შორის, რომელთა უმეტესობა ებრაელი გახლდათ. დღეს ცნობილია რომ ფროიდი 40 წლის განმავლობაში იყო" ბნაი ბრიტის" წევრი, თანაც პირველი ათი წელი ლოჟის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა, პრაკტიკულად არ ტოვებდა არც ერთ სხდომას და ლოჟის კომიტეტის მუშაობაშიც მინაწილეობდა. გარდა ამისა, ის შედიოდა ლოჟის იტელექტუალურ ინტერესთა კომიტეტის შემადგენლობაშიც და მისი თავმჯდომარეც იყო. აგრეთვე თავმჯდომარეობდა მშვიდობის კომიტეტსაც. ამავე დროს აღნიშნული ლოჟის სამეცნიერო-კვლევითი კომიტეტის წევრიც გახლდათ. 1901 წელს მან დაწერა შრომა" ორდენ ბნაი ბრიტის მიზანი და საშუალებები". "ბნაი ბრიტი" არასოდეს წყვეტდა ფსიქო ანალიზის პროპაგანდირების მხარდაჭერას და ფროიდის იდეებს ყველგან ავრცელებდა.



1933 წელს ჩნდება ფსიქოანალიტიკოსთა პირველი საზოგადოება პალესტინაში, რომელსაც ფროიდის ახლო მეგობარი მაქს ეიტინგონი მეთაურობდა. სწორედ ის გახლდათ ფსიქოანალიტოკოსთა პრესტიჟული საერთაშორისო ასოციაციის პირველი ხელმძღვანელი. მაქს ეიტინგონი იყო ორმაგი ცხოვრების ადამიანი და ამ გაორებული ცხოვრების ერთი ნახევარი გულ მოდგინედ იყო დაფარული კერძოდ, იგი გახლდათ აგენტი, რომელიც ბოლშევიკური პოლიტიკური პოლიციის სასარგებლოდ მუშაობდა ის დაიბადა რუსეთში 1891 წელს და იყო ძმა ლეონიდე ეიტინგონისა „ გეპეუ"- ს თვალსაჩინო თანამშრომლისა, რომელიც უფრო გენერალ კოტოვის სახელითაა ცნობილი. ეს ის კოტოვია, რომელიც სტალინის დავალებით კარიდელ მერკადერის ინტიმური მეგობარი გახლდა და გადაიბირა მისი შვილი რამონ მერკადერი, რომელმაც მისთვის მიცემულ საიდუმლო დავალება პირნათლად შეასრულა- ტროცკი მოკლა.

საინტერესოა რატომ ეხმარებოდა ასე აქტიურად"ბნაი ბრიტი" ფროიდს მისი იდეების განსახორციელებლად? სარწმუნო წყაროს ცნობით „ფროიდმა აღასრულა ბიბლიური ხარება აღსრულებისა აქ და ამჯერად, მთელი მისი სისრულით" ეს ნიშნავს, რომ ფსიქოანალიზის სწავლება ღრმად არის ფესვგადგმული ებრაულ მისტიკაში და მთლიანად იუდაიზმში.

ფსიქოანალიზის სწავლების შინაარსი თავის ფუნდამენტალურ პრინციპებში იუდაიზმს ეფუძნება. ამერიკელი მკვლევარი დევიდ ბაკანი, თავის ესსეში წერს, რომ „ფროიდიზმი ებრაული მისტიკის გარდასახვაა",ეს არის იუდაიზმის „საერო სამოსი". ამ მკვლევარის აზრით, ეს სწავლება აცოცხლებს"დამჯერებელ ჰიპოტეზას", რომელიღაც „პაქტს ეშმაკთან" და ფსიქოანალიზში ბევრ საკითხს განმარტავს იმით, რომ მისი დამფუძნებელი „მთელი ცხოვრების განმავლობაში ცხოვრობდა გეტოში, სამყაროში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ებრაელებისგან შედგება." რობერტ მარტი თავის ნარკვევში ფსიქოანალიზმს „თალმუდის კომენტარის ბოლოდროინდელ სახესხვაობას" უწოდებს. კიდევ სხვა მკვლევარი, პერსივალ ბაილეი, ფროიდში „საერო რაბინს"ხედავს. სხვები კი მარტივად და დამაჯერებლად უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ფსიქოანალიზი „უფრო რელიგიაა, ვიდრე მეცნიერება. მას აქვს თავისი დოგმები, რიტუალები, ხოლო ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციები თითქმის მისტიკურია და ძალზედ ნაკლებად კონტროლირებადი"(პროფესორი ბარიუკი)

თუ გავიხსენებთ, რომ იუდაიზმის „ღმერთი"არის ორსქესოვანი არსება, ეს ბისექსუალობა გამსჭვალავს ამ „ღმერთის"ყველა ემანაციას. თუ წარმოვიდგენთ, რომ თვით ბოროტების პრინციპი იუდაიზმში დაკავშირებულია ნგრევასთან და არა ცოდვასთან, მკაფიოდ დავინახავთ ფსიქოანალიზის თეორიების ფესვებს სიღარიბეზე, სისხლის აღრევაზე (ინცესტზე) და ფსიქოანალიზის ყველა დანარჩენ მითებზე, ნათლად გამოჩნდება, რომ ფსიქოანალიზი, რომელსაც მეცნიერების ნიღბით ახვევენ თავს მთელს მსოფლიოს, სინამდვილეში არის აზროვნების იუდეველური ტიპი და იუდეველური რელიგია მისთვის დამახასიათებელი მითოლოგიითურთ. ეს არის პანთეიზმის და წარმართობის რელიგია, მოკლედ, ფსიქოანალიზი წარმოადგენს კაბალისტების წარმართულ რელიგიას, მის ერთ-ერთ ნაირსახეობას „ჰუმანიზმს", რომელშიც თვით ადამიანის პიროვნება ხდება რაღაც უსახური სიმბოლო, კაუჭი, წერტილი, ციფრი და ხაზი, რომელთა შორის ფუთფუთებენ დანაშაულებრივი ვნებები.



მოამზადა
ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეოცე საუკუნეში...

ბუბა ხოტივარი

1968 წლის გაზაფხულზე ჩემი ძმა ქართლოსი მირეკავს მოსკოვში: ფილმის გადაღება დავამთავრე და მონტაჟს ვიწყებო, სხვისი არ ვიცი და ჩემი გადაღებული მასალა მე თვითონ ძალიანაც მომწონს, ვისაც ვენდობი - იმათაცო. და, საერთოდ, დროზე ჩამოდი თბილისში, ჩვენებსაც უთხარი არ წავიდნენ არსად სხვაგან საქართველოს გარდა სამუშაოდ, - ჩვენთან კარგი ამბები იწყებაო.

„კარგი ამბები“ ის იყო, რომ ახალი სტუდია ყალიბდებოდა, საქართველოს ტელეფილმების სტუდია. უფრო სწორად, სტუდია უკვე დაარსებული იყო, ფილმებსაც იღებდა, ოღონდ ჩვენ არ გვეგონა თუ შესაძლებელი იყო ტელევიზიაში ხარისხიანი კინოფილმის შექმნა. ჩვენ ტელეფილმებისა მაშინ არა გაგვეგებოდა რა. თავს სუფთა კინემატოგრაფზე ვდებდით და ტელეფილმი კინოფილმის ცუდი ვარიანტი გვეგონა. ამიტომ, ტელეფილმებს ზემოდან ვუყურებდით და ვერც კი წარმოგვედგინა, რომ მომავალი ტელეფილმებისა ასეთი საინტერესო იქნებოდა და რომ ნამდვილ ტელეფილმსა და ნამდვილ კინოფილმს შორის არანაირი განსხვავება არ იქნებოდა - გარდა მწარმოებელი სტუდიის დასახელებისა.

ქართლოსი „ჩვენებში“ გულისხმობდა ВГИК-ის ქართველ სტუდენტებს. მათ, ვინც ვამთავრებდით კინორეჟისურის ფაკულტეტს და ვდგებოდით დიდი პრობლემის წინ. ჩვენს მიღებაზე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექცია სასტიკ უარზე იდგა. მეტიც, 60-იან წლებში ჩვენი კინოსტუდიის დირექტორმა მოსკოვის კინოინსტიტუტის ВГИК-ის ხელმძღვანელობას წერილიც კი გაუგზავნა, ქართველები თქვენს ინსტიტუტში აღარ მიიღოთ, ჩვენ ისედაც უამრავი კინორეჟისორი გვყავს, სამუშაოს ვერ ვაძლევთ და კი ახალგაზრდა კინორეჟისორების მოზღვავებით ახალი პრობლემები გვექმნებაო. ამ ბინძური ქაღალდის გამო ბევრმა ქართველმა გადაიფიქრა კინოში მოსვლა. ვინ იცის, მათ შორის რამდენი იქნებოდა იქნებ გენიოსიც - მაშინ ხომ ჩვენში მართლაც მოზღვავება იგრძნობოდა ნიჭიერი ხალხისა. სამართლიანობა კი ითხოვს იმის თქმას, რომ თვით ВГИК-ის პედაგოგებიცა და ხშირად რექტორატიც თვითონვე უვლიდნენ გვერდს ამ ქაღალდს. ესმოდათ, რომ თუ დაემორჩილებოდნენ ვიღაცა ჩინოვნიკის ამ უზნეო მოთხოვნას, ამით მოსპობდნენ ქართული კინოს მომავალს. ასეთ ცოდვას კი ჩვენი მოსკოველი პედაგოგები თავის თავზე ვერ იღებდნენ. Что за кино без грузин? Это - поле без цветов, это - музыка без “Сулико”, это - футбол без тбилисского “Динамо” - ამბობდნენ ჩვენი რუსი, ებრაელი, გერმანელი პედაგოგები და ქართველი ჩინოვნიკების ჯიბრზე მაინც იღებდნენ ინსტიტუტში ქართველებს. პედაგოგებად კი მოღვაწეობდნენ მსოფლიო კინოს ნამდვილი კლასიკოსები: ეიზენშტეინი, დოვჟენკო, პუდოვკინი, პირიევი, რომი, გერასიმოვი, კარმენი, გორდონი, შიროკოვი, ფელონოვი, ბაბოჩკინი... ეს გამორჩეული ხალხი ყოველგვარ ჩინოვნიკურ მითითებებს შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებოდა და საქმეს მაქსიმალურად სამართლიანად წყვეტდა. ჩემმა პედაგოგმა, კინოს დიდმა პროფესიონალმა იოსებ გორდონმა ერთხელ მითხრა: Когда ваш Сосо Чхаидзе вошёл в аудиторию - все ахнули. И не только потому, что очень был хорош собой. Мы увидели Личность. И нас, экзаменаторов уже мало волновало, как он отвечал, ибо Личность - самая большая ценность в мире. Как такого не принять? არ შეცდა სიკეთითა და ჭკუით სავსე ეს ადამიანი. მას ხომ ყველაფერი ესმოდა - ჯოჯოხეთი ქონდა გამოვლილი (დიდი რენე კლერის მონტაჟორი იოსებ გორდონი 1937 წელს რუსეთში როცა ჩავიდა საცოლის პარიზში წასაყვანად ბოლშევიკებმა ორივენი დააპატიმრეს და გულაგში ჩასვეს... 17 წლით. ეს იქნება თქვენი საქორწილო მოგზაურობაო! მიუხედავად გათელილი ცხოვრებისა, ეს კაცი არა თუ გაბოროტდა, - პირიქით, თითქოს ამაღლდა და განიწმინდაო, - ღმერთის არსებობა ციხეში ვიგრძენი, მადლობა ჩემს ჯალათებსო. ყველაფერს ამ ქვეყანაზე ბიბლიით ზომავდა და ჩვენც გვაჩვევდა უმაღლესი ზნეობრივი კატეგორიებით აზროვნებას: მიეჩვიეთ, მომავალ სამსჯავროზე გაგიადვილდებათ ცოდვილი თავის დაცვაო - და თითებს ტუჩებზე მიიდებდა, ჩუ, ამაზე ბევრს ნუ იყბედებთ, ვადაზე ადრე აქაურ სასამართლოზე არ წაგათრიოთ ათეისტების კაგებემო და ისეთი იდუმალებით გაიღიმებდა, რომ ეჭვიც არ შეგეპარებოდა - ეს კაცი მართლაც ახლოს იყო ღმერთთან) ...

ასეთი ხალხის თვალით როცა შეეხედე'ჩემს ქვეყანას, უფრო დავაფასე იგი. ვერ წარმოიდგენთ, რა პატივს სცემდნენ ქართველებს. ხშირად უთქვამთ ჩვენთვის (ჩუმად, ყურში): Грузия - островок духовности в этой страшной империи. Вы и ваше кино - исключение. Держитесь крепче, ребята, и как можно дольше. ეს, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული შეფასება, მთლიანად ქართული კულტურისა და უფროსი თაობის კინემატოგრაფისტების დამსახურება იყო: ვასილ ამაშუკელი, ალექსანდრე წუწუნავა, ივანე პერესტიანი, მიხეილ კალატოზიშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, კოტე მიქაბერიძე, მიხეილ ჭიაურელი, დავით რონდელი, შოთა მანაგაძე... ომის შემდგომი თაობა: რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგელაია, გიორგი შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, ოთარ იოსელიანი... არ მინდა ვინმე გამომრჩეს. მათ ფილმებს აჩვენებენ სტუდენტებს დღემდე, მათი ფილმებით ასწავლიან კინორეჟისორის პროფესიას, მიაჩნიათ ეტალონებად, რომლებმაც უნდა აღზარდონ თაობები. პირველი კურსიდან მესმოდა პედაგოგებისა და უფროსი სტუდენტებისგან, როგორ რაინდულად იქცეოდნენ ქართველები, როგორ არ წუწუნებდნენ გასაჭირის ჟამს, როგორ შეეძლოთ პურზე და ხახვზე სამი დღე-ღამე მხიარულად ექეიფათ და როგორი დისციპლინირებულნი იყვნენ ამავე დროს - საქმე არასოდეს ზარალდებოდა. ყოველი ქართველი, უნდოდა თუ არა, თავისი ჯგუფის ლიდერი ხდებოდა. მას უჯერებდა ყველა, ხშირად, პედაგოგებიც. ახალმისულებს გზა უკვე გაკვალული გვქონდა: თუ ქართველი ხარ, ესე იგი ხარ ნიჭიერი, წესიერი, ზრდილობიანი და, საერთოდ, კარგზე კარგი - არ ვაზვიადებ. დამიჯერეთ, ასეთი ავტორიტეტი ქონდათ იმ დროს ჩემს თანამემამულეებს რუსეთის (და არა მხოლოდ რუსეთის) კულტურულ წრეებში. ეს აძლიერებდა ჩვენს პასუხისმგებლობას: წესიერად ვიქცეოდით და გაორმაგებული ენერგიითაც ვსწავლობდით....

ქართლოს ხოტივარი და იური კიკაბიძე

რომან კარმენი

* * *

მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობა „სერენადა“ ქართლოს ხოტივარს სკოლიდანვე მოსწონდა: ამ უკრაინელმა ზოშჩენკომ რა ქართული ამბავი დაწერაო! დავითისა და გოლიათის დაძაბული ურთიერთობების მუდმივი პრობლემა ქართლოსს სულ აღელვებდა: არ მოუდრიკო თავი შეწზე ძლიერს, არ დაემონო, კაცად დარჩი, აიტანე ყველაფერი: ტკივილი, შიმშილი, უსამართლობა - ოღონდ კაცად დარჩი. დარჩი პიროვნებად. ძნელია ყველაფრის ატანა, მაგრამ უნდა გაძლო. ნუ გეშინია, ნურაფრის ნუ გეშინია! თუ სული მტკიცე გაქვს და გესმის რა გინდა - შენსას მიაღწევ: იქნები თავისუფალი, ვერაფერი წაგაქევს. ეს ფილმი ჩვენა ვართო. ჩვენი ისტორიაა, მთელი ერისაც და ცალკეული ინდივიდისაც... ეს ფილმი თუ არ გადავიღე, კინოს თავს გავანებებო!

მახსოვს, როგორ მოუყვა ჩანაფიქრი შოთა სალუქვაძეს. შოთა მაშინ ტელევიზიაში მუშაობდა, მგონი, მთავარ რედაქტორად. შოთა სალუქვაძემ, თვითონ კომუნისტებისგან ნატანჯმა, უვაჟკაცესმა პიროვნებამ ლეგენდარული წარსულით, აიტაცა ეს იდეა. მახსოვს, როგორ წამოდგა ეს მართლაც გოლიათი კაცი, ანთებული თვალებითა და მოღერებული მუშტებით როგორ გაითამაშა სცენები, ქართლოსი რომ უყვებოდა. ორივემ მომავალი ფილმი ჩემს თვალწინ დადგა. როცა დაამთავრეს და დაღლილები ჩაეხუტნენ ერთმანეთს (როგორც შემდეგ ფილმის ფინალში ზოზო და რამაზი), გულამოვარდნილმა შოთამ ქოშინით თქვა, კაცი არ ვიყო, ეს სცენარი ჩვენთან თუ არ დავამტკიცებინოო!

ქართლოსი მოულოდნელად ჩაქრა.

- არ გამოვა არაფერი, შოთა, - უიმედოდ თქვა მან, - ბოლშევიკები მიგვიხვდებიან რისი თქმაც გვინდა სინამდვილეში და არ მიიღებენ სცენარს. მაპატიე, ტყუილად დროს გაკარგვი...

- შენი მიკვირს კაცო! - გააწყვეტინა უეცრად ბავშვივით გაბრაზებულმა შოთამ. - რაზეც ფილმს იღებ, ცხოვრებაში იგივე არ უნდა გააკეთო?! თუ გულში ყველანი ჩუმჩუმად დავითი ვართ, ბოლოსდაბოლოს შევებათ ცენზურის გოლიათს და დავამარცხოთ ეგ ოხერი! ოღონდ კარგად შევინიღბოთ, ვითომ სულ სხვა რამეს ვაკეთებთ! - ისე როხროხად თქვა, ისე იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, რომ ქართლოსს უნებლიედ გაეცინა:

- რა რომანტიკოსი ხარ, შოთა, ამათთან შებმას, რაც არ უნდა შეინიღბო, აზრი არა აქვს. ამას სერიოზულად ვერავინ ვერც კი ბედავს. მართალ-ნახევარი ფილმის გაკეთებას კი მისი არგაკეთება ჯობს. თუმცა... (ქართლოსმა ნერვიული დაფიქრებით დაიწყო აქეთ-იქით სიარული) - არც ის შემიძლია ფილმი არ გადავიღო. თუ ფილმს შექმნა უწერია, ის უნდა იყოს სწორედ ისეთი, როგორსაც ვხედავ მე და არა რამე სხვა. მართალი ხარ, შოთა, ვიბრძოლოთ მაინც. ბოლომდე ვიბრძოლოთ, იქნებ რაიმეს მივაღწიოთ კიდევაც!

შოთამ ხელი მოხვია და ისეთივე ბავშვური უშუალობით უთხრა:

- აი ნახე, თუ არ გავიმარჯვებთ, აი ნახე! ხომ ვიცი, გულში შენც ასე ფიქრობ.

მარჯვნიდან: ქართლოს ხოტივარი, ვახტანგ მიქელაძე, ლერი სიხარულიძე

რეზო ჩხეიძე

და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ცენზურას ამ სცენარის გაგონებაც არ სურდა, შოთა სალუქვაძემ დიდი ბრძოლების შემდეგ თავისი გაიტანა: პირადად მისი პასუხისმგებლობით ქართლოს ხოტივარს „სერენადის“ გადაღების უფლება მისცეს. ქართლოსმა პირველად ვერც კი დაიჯერა, იმდენად არ მოელოდა, რომ შოთა ამას მიაღწევდა, მაგრამ შემდეგ საოცარი ენთუზიაზმითა და თავდავიწყებით დაიწყო ფილმზე მუშაობა. „სერენადა“ გადაღებულია ერთის ამოსუნთქვით... ქართლოსი ყოველდღე გვირეკავდა მოსკოვში. მაშინ ბინას ვქირაობდით


ირაკლი კვირიკაძე

იოსებ ჩხაიძე

სოსო ჩხაიძე, მე და ჩვენი მეგობარი იური შილერი, დღეს უკვე დიდი რეჟისორი, არაჩვეულებრივი დოკუმენტური ფილმების ავტორი. (რუსეთის კინოაკადემიის მიერ ეს, ამჟამად ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, გამოცხადებულია როგორც Национальное достояние России. დიდი გერმანელის მოგვარე სულით ხორცამდე რუსია. ისეთი, როგორიც უნდა იყოს ყველა რუსი და, კარგი იქნებოდა, ზოგი ქართველი მაინც). ქართლოსი გვიყვებოდა ფილმის ამბებს: კარგი ტრიო შეკრიბეო - ლალი ხაბაზიშვილი, ზოზო ბაქრაძე და რამაზ გიორგობიანი, ოპერატორად იური კიკაბიძე მოვიწვიე, მხატვრად ჯუნა თუთბერიძე, ორიგინალური მუსიკა ამ ფილმს არ ჭირდება, უნდა მხოლოდ კომპილაცია რომანსებიდანო. ბოლოს კი, როცა ზოზო და რამაზი ერთმანეთს სილებს აღარ გააწნიან - „ Glორყ, გლორყ, ჰალლელუჯაჰ!“ - ამერიკელი აბოლციონისტების სიმღერამ ჯონ ბრაუნის ამბებზე მაყურებელს იესო ქრისტეს სიტყვები უნდა გაახსენოსო. ურთიერთშერიგებისა და შენდობის ამ მოტივის არანჟირებას ვახო კუხიანიძე, ნიჭით გაპენტილი კაცი, კარგად გააკეთებსო... სამუშაო გახურდაო...

* * *

ერთხელაც დარეკა და ყრუ ხმით მითხრა: შოთა სალუქვაძე გარდაიცვალაო. ინფარქტითო...

მეორე დღეს ისევ დარეკა და თქვა: თუ ფილმის დამთავრება მეღირსა, შოთას ხსოვნას მივუძღვნი, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ფილმი კარგი გამოვა, შოთას ცუდს ვერაფერს ვაკადრებო. შოთამ კი მასალის ხეირიანად ნახვაც ვერ მოასწროო...

* * *

„სერენადის“ ჯერ დაუმონტაჟებელი მასალა უკვე რეზო ჩხეიძემ ნახა, ტელეფილმების ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა. მოიწონა, ქართლოსს მიულოცა და უთხრა:

- ამ ფილმის გაკეთებას აქ და მხოლოდ აქ, ტელეფილმებში, თუ შეძლებდი, ისიც ცხონებული შოთას თავგამოდებით. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ამ შენს სცენარს დასამტკიცებლად არც კი განიხილავდნენ და არც შენ მიგიწვევდნენ ფილმების გადასაღებადო. ასე ფიქრობენ ეგენი ჩვენი კინოს მომავალზე...

მართლაც, „ქართული ფილმის“ კარი იმ დროს ახალი კინორეჟისორებაისთვის დახურული იყო. გადაღების საშუალებას ახალგაზრდებს არ აძლევდნენ, სადაც გინდათ წადით, რაც გინდათ გააკეთეთ, მადლობა გვითხარით ასისტენტებად თუ მიგიღეთო. საქმეს ტრაგიკული ელფერი დაკრავდა. ზოგი რუსეთში დარჩენაზე ფიქრობდა, ზოგიც პროფესიის გამოცვლაზე. არც ტელევიზიის ხელმძღვანელობას ვეპიტნავებოდით მაინცადამაინც (რა იცით რა უნდათ, დაუმორჩილებლობა და ფრონდიორობა არ დაგვიწყონ, უცხო ხალხია მაინც, რაში გვჭირდება აუტკივარი თავის ატკივებაო). ჩვენის მხრივ, არც ჩვენ ვიკლავდით თავს ტელევიზიაში მისვლის დიდი სურვილით, მითუმეტეს, რომ მიშა კობახიძემ გაგვაფრთხილა, „ქორწილის“ გადაღებისას ტელევიზიამ გამამწარა, არაფრით დამხმარებია, ფილმი ჩემით გადავიღეო. მართლაც ასე იყო. „ქორწილი“, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და სრულყოფილი ფილმი, ბაჯაღლო ოქრო ჩვენი კინოსი, იქმნებოდა განუწყვეტელი ხელის შეშლის, ორგანიზაციული ქაოსისა და პოლიციური ზედამხედველობის პირობებში. მიშამ შეძლო აუტანელის ატანა და ფილმი მაინც დაამთავრა. მაგრამ ტელევიზიიდან კი წავიდა. იქ მუშაობა მაშინ მართლაც შეუძლებელი იყო...

და აი, ამ დროს დაინიშნა რეზო ჩხეიძე. ვერ გეტყვით, როგორ მოხდა, იმ დროისათვის უკვე ცნობილი კინორეჟისორის ტელეფილმების სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნვა, მაგრამ ზუსტად ვიცი - ახალგაზრდებს ძალიან გვინდოდა მისი ტელეფილმებში მოსვლა, ვთხოვდით კიდეც რეზოსა და ზემდგომ ინსტანციებს ამის შესახებ და, როცა საქმე დადებითად გადაწყდა, ზეიმითაც აღვნიშნეთ სასიხარულო ამბავი.

როცა საღამოს სახლში მოვყევი რეზოს დანიშვის შესახებ, მამაჩემი გაიბადრა, აბა დარჩენილხართ ამ თქვენს შერეკილ საქართველოში ყველანიო!.. შემდეგ უკვე სერიოზულად, თითქოს თავისთვისო, დაამატა:

- რეზო არ ჩანს ურიგო ბიჭი. მან ის უნდა გააკეთოს კინოში, რაც ამ ველურმა კომუნისტებმა დათიკოს, მამამისს, არ დააცალეს მწერლობაში. რა კაცი დახვრიტეს! ისეთი მწერალი იყო, აწი იქნება თავიდან აღმოსაჩენი. გული სავსე ქონდა სიკეთით. სავსე კი არა, დატენილი! ვერ ისვენებდა, ვინმეს თუ არ გაახარებდა, იმ დღეს ცუდად გრძნობდა თავს. ფაციაც ასეთი არ არის? ქუთაისში ეთაყვანებოდნენ მაგათ. იმერლები, ხომ იცი, ყველას მასხრად იგდებენ და თუ მოგიწონეს, ესე იგი ასმაგად ხარ ღირსი! აი ნახავ, რამდენს სიკეთეს გააკეთებს რეზო...

მართლაც: რეზომ შემოიკრიბა თავის გარშემო ახალგაზრდობა, გაამხნევა ცხვირჩამოშვებული „ძველები“ და თავისი უშრეტი ენერგიითა და დიპლომატიის საოცარი (ვიმეორებ: საოცარი) უნარით შეძლო ახალი სტუდიის ჩამოყალიბება. საბჭოთა კავშირში, სადაც ნებისმიერი ინიციატივა უფროსების ანუ მთელი ბოლშევიკური სისტემის პარანოიდალურ ეჭვებს ბადებდა, ასეთი რამ მეტად გაბედული საქმე იყო. ეს რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ყოველივე ჩვენთაგანს და იქნებოდა თუ არა შექმნილი ის ფილმები, რომლებითაც ახლა ასე მოგვაქვს თავი...

საბედნიეროდ, რეზოს რკინისებურმა ნებისყოფამ გაანგრია ყრუ კედელი და საქმეც დაიწყო. ქართლოს ხოტივარი, ირაკლი კვირიკაძე, სოსო ჩხაიძე, ომარ გვასალია, ლერი სიხარულიძე, ლიანა ელიავა, გელა კანდელაკი, შემდგომში რეზო ესაძე და სხვები, მათ შორის თქვენი მონამორჩილიც, თითქმის ერთად შევიყარენით ქართული კინოს ახლად გახსნილ ცენტრში - საქართველოს ტელეფილმების სტუდიაში.

- რა გინდათ ძმებო და დებო, რასაც მოინდომებთ, ის გადაიღეთ. მთავარია იყოს ქართული და მორალური. დაიმახსოვრეთ: ქართული და მორალური! ამ ახალ სტუდიაში

მარჯვნიდან: გიორგი შავგულიძე, ლევან და ქართლოს ხოტივარები

მთავარი არ არის გადაღება. მთავარია კარგად გადაღება და ჩემგან მაქსიმალური დახმარების გარანტიასაც გაძლევთ.

აი, დაახლოებით ასეთი რამ გვითხრა რეზომ და დაიწყო სტუდიაში კარგი ამბები, ანუ ახალი ფილმების გადაღება.

* * *

ირაკლი კვირიკაძემ გადაიღო „ქვევრი“ ლუიჯი პირანდელოს მიხედვით. მოსკოვის ცენზურაში ამან შოკი გამოიწვია. პირანდელოს ხსენებაც კი კომუნისტებს იმ დროს სასტიკად ქონდათ აკრძალული: Пиранделло? Этот фашист? Пиранделло экранизирован вами, грузинами?! ცენზურა აბაბოქრდა და მძიმედ დააწვა ფილმს. მისი გადარჩენა მხოლოდ ირაკლის მამაცობას თუ შეეძლო. ისიც არ შედრკა და იქით დაეტაკა მოსკოველ ჩინოვნიკებს. შუა ომში გვერდით რეზო ჩხეიძეც დაუდგა და როგორღაც (არ ვიცი, როგორ!) უეცრად ყველა პრობლემა მოიხსნა: ფილმი საკავშირო ეკრანზე მიღებული იქნა უმტკივნეულოდ. ზემოდან, უმაღლესი ინსტანციებიდან ჩამოშვებულ დირექტივას ცენზორები (რედაქტორები - ასე ერქვათ ოფიციალურად) უსიტყვოდ დაემორჩილნენ და წამსვე შეიცვალეს საკუთარი აზრები. მოულოდნელად დამარცხებულნი ერთბაშად (ურცხვად!) შემოტრიალდნენ, დაგვიტკბენ, გასაცოდავდნენ და ერთი ითხოვეს მხოლოდ: ფილმის რუსულ ვარიანტში პირანდელოს ნუ ახსენებთ, ჩვენც, საწყალ ჩინოვნიკებსაც, ოჯახები გვყავსო, ქართულად კი, ჯანდაბას თქვენი ქართველი თავი, რაც გინდათ ის გააკეთეთ, თუ გინდათ, სცენარის ავტორად იოჟეფ გებელსი დაწერეთო. Вам ведь, грузинам, все можно!.. და საქართველოს მიმართ ერთგულების ფიცითა და დაუოკებელი სიყვარულის მტკიცებით შეგვიწუხეს გული. კვირიკაძეს კამიკაძე შეარქვეს გამბედაობისთვის და მასთან მუდმივ მეგობრობაზე თავის დადებით წაუღეს ტვინი... მანამდეც, გადაღებებისას ბევრჯერ იდგა ირაკლი ფილმის დახურვის საშიშროების წინ: ხან ტექნიკური წუნი, ხან უფროსების გაუგებარი გაღიზიანება, ხან რა, ხან რა. მაგრამ ირაკლიმ ბოლომდე ივაჟკაცა, დასაღუპად განწირული ფილმი გადაარჩინა და ყველას გვაჩუქა „ქვევრი“ - დახურულ სივრცეში გაჩხერილი, უაზროდ თავგამოყოფილი ადამიანის (ანუ პარადოქსალურ სიტუაციაში უნებლიედ ჩავარდნილი საზოგადოების) ეს ძალდაუტანებელი მეტაფორა. მარგალიტი ქართული კინოსი. სამჭკუაშვილი ვარ! ლავუაზიეს კანონი, რა ტყუილად გაჭმევთ პურსა! ემანდ, რამე მარცხი არ მოგივიდეს! ამტვრევ, არა? - მაყურებელმა ზეპირად იცის ყველა სიტყვა და ერთმანეთს „ქვევრის“ გმირების ტექსტებით ელაპარაკება.

* * *

კინორეჟისორ ლიანა ელიავას „ბზიანეთიც“, დიდი მსახიობის, ლია ელიავას მონაწილეობით (მისი, ალბად, ყველაზე უჩვეულო და თავისებური როლით), ახალი სტუდიის შექმნის ტალღაზეა გადაღებული. როცა ქართული ტელეფილმების ალმანახს ვაჩვენებდით უამრავ სხვადასხვა ქალაქში, ეს ფილმი გამორჩეულად აღიქმებოდა. ფერიის გამოცხადებას ადარებდნენ. ყველა თქვენი ფილმი, საერთოდ, თქვენი ფილმების პროგრამა, არასრულფასოვანი იქნებოდა, „ბზიანეთის“ ქალური სინაზე და სითბო რომ მოკლებოდაო. ასე გვეუბნებოდნენ ყველგან.

* * *

ლერი სიხარულიძემ და გელა კანდელაკმა გადაიღეს „ფეხბურთი უბურთოდ“ - სპორტსმენებში ადამიანების დანახვის ცდა. შემოქმედებითად მაშინ ეს იყო მეტად გაბედული ნაბიჯი. მას მოყვა შემდეგ სერიალები ეპიგონური ფილმებისა, მაგრამ ის დარჩა როგორც პირველი და, ჩემის აზრით, ყველაზე კარგი ფილმი ამ ტიპის ფილმებს შორის, პირველ რიგში თავისი უშუალობითა და გააზრებული მონტაჟით.

მარჯვნიდან: ბუბა ხოტივარი, ქართლოს ხოტივარი, იური კიკაბიძე, თენგიზ მალანია

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(ნაწილი მეორე)

„ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი?“

წერილების ციკლის „მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?“ პირველი ნაწილი დავასრულეთ ინფორმაციით, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, „ღმერთის გზავნილის“ აღმოჩენის შესახებ, რომელიც ჩაწერილია ადამიანის გენომში ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში; რომ დნმ-ის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ნაწილში წამყვანმა გენეტიკოსებმა აღმოაჩინეს 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე, რომელიც მათი აზრით, ამტკიცებს ღმერთის არსებობას და მის როლს დედამიწაზე. „ღმერთის გზავნილი“ აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა შეამჩნიეს უცნაური მათემატიკური მოდელები რომელიც ჩნდებოდა გენომის გარკვეულ ნაწილში. „ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება. გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა ჯვარედინი ანალიზი გზავნილების სხვა და სხვა ენის მონაცემთა ბაზის მიხედვით და ჩვენ გავოგნდით როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები შეესაბამება არამეულ ენას. როგორც ჩანს, უფალმა დაგვიტოვა დაფარული გზავნილი, რომელიც ჩვენ შევძელით აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, როდესაც მივაღწიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამ აღმოჩენამდე მე შეუვალი ათეისტი ვიყავი, ახლა ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიაზე გამოიწვევს რევოლუციურ ცვლილებებს მსოფლიოში“, — წერს ჩარლზ უოტსონი, პროექტის წამყვანი მეცნიერი.

ქართველებს რატომღაც გვჯერა თუ ჩვენს შესახებ უცხოელი ამბობს რამეს, თუნდაც არასწორს, მაგრამ ეჭვის თვალით ვუყურებთ თუ ქართველი ამბობს ჭეშმარიტებას — აბსოლუტურად არაადექვატური მიდგომა გვაქვს საკუთარი ერისა და ჩვენი ისტორიის მიმართ.

ჯერ კიდევ 1994 წელს დაწერა დანიელ სავანელმა წერილი „იესო ქრისტეს დროინდელი გალილეველები მიეკუთვნებოდნენ იბერიულ-კავკასიურ მოდგმას, შესაძლებელია, „დიაოხურ შტოს“, მაგრამ რა, მოუსმინა ან უსმენს ვინმე?

„ძვ. წ მეორე ათასწლეულის ბოლოს იწყება ინდო-ბერძნული (ინდო-ევროპული) ტომების მიგრაცია აღმოსავლეთ ევროპიდან ბალკანეთისკენ, რომელთა წინარე სამშობლო ოდესღაც ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა.

პირველად ბალკანეთში მცხოვრები პელაზგები, დანაიდები (დანაიდებს ზოგჯერ არგოსელ დანაიდებსაც უწოდებენ) და სხვა იბერიულ-კავკასიური აბორიგენი მოსახლეობა დუნაის მხარეში მცხოვრებმა ნარევი ტიპის ხალხმა, აქაველებმა შეავიწროვეს. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამტკიცებდნენ, რომ პელაზგები, არგოსელები, იგივე დანაიდები, კოლხებს ენათესავებიანო. აქაველების მიერ ხდება როგორც ბალკანეთზე მცხოვრები ხალხების, ისე კრეტა-მიკენისა და ტროელთა დაპყრობა-დამორჩილება. ამის შემდეგ გამოჩდნენ ინდო-ბერძნული ტომები, დორიელები, შემდგომ ელინთა ანუ ბერძენთა უშუალო წინაპრები. ეს დორიელები ისტორიაში ცნობილნი არიან აგრეთვე კიმირიელების სახელწოდებით, როგორც დიდი კიმირიული ოჯახის ერთ-ერთი შტო. კიმირიელები, ანუ ასურულად „გიმმარაი“, ბიბლიური ტრანსკრიფციით „გომერ“. სწორედ ამ დორიელებისგან განდევნილმა „აქაველებმა“, „პელაზგებმა“, „დანაიდებმა“ და სხვებმა მცირე აზიისკენ გადაინაცვლეს. ამ ხალხს ეგვიპტელებმა „ზღვის ხალხები“ უწოდა. ამ ხალხებიდან ეგვიპტელებმა განსაკუთრებით გამოჰყვეს „აქავაის“, „დონოის“ და „პელესტის“ ტომები.

„ზღვის ხალხებმა“ დაარბიეს ხეთის სამეფო. მათი დედაქალაქი ხათუსა დაანგრიეს, დაიმორჩილეს „დიაოხი“ და აიძულეს დაპყრობილი ხალხის ნაწილი, რომ მათთან ერთად ელაშქრათ ეგვიპტისკენ. ფარაონ რამზეს III-ემ გაჭირვებით დაამარცხა ისინი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოახერხა მათი განდევნა და ისინი დამკვიდრედნენ ქანაანისა და სირიის ნაყოფიერ მიწებზე. „ზღვის ხალხებს“ შორის იყვნენ პელაზგები, მათ შორის კრეტელი პელაზგები, რომელთაც ბიბლიაში ფილისტიმელები (ეგვიპტურად „პელესტ“) ეწოდებათ, ხოლო შემდგომ, ჰეროდოტემ ქანაანის იმ ტერიტორიას, სადაც დასახლდნენ ფილისტიმელები (პელაზგები) პალესტინა უწოდა. „პელესტ“ — პელაზგთა ანუ შემდგომ ფილისტიმელთა ეგვიპტური სახელწოდებაა.

ბიბლიაში ეზეკიელი ფილისტიმელებს ქაფთორელებს ანუ კრეტელებს უწოდებს და ქაფთორიდან მოსულებად მოიხსენიებს (კუნძული კრეტა ბიბლიაში ქაფთორად მოიხსენიება). ფილისტიმელები, ისევე როგორც ებრაელები, შემდგომ ეპოქებში გასემიტდნენ. (სხვათაშორის, აბრაამიდების სატომო სახელიც „ებრაები“, მომდინარეობს სუბერიდან, რომლებიც თავდაპირველად ქალდეური ტომები იყვნენ და ქალაქ ურიდან გადასახლდნენ ქანაანში).

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, როგორც „დაბადებაშია“ აღნიშნული, „ურ-კაშდიმ“, სადაც ცხოვრობდა მამამთავარი აბრაამი, არა სამხრეთ მესოპოტამიაში მდებარე შუმერული ქალაქი ური, არამედ, ის ადგილიაო აღნიშნული, სადაც ვითომ თქმულების მიხედვით ნოეს კიდობანი გაჩერდაო, ე.ი არარატის სანახებიო და შემდეგ ამბობს: „მაშასადამე, დაბადების (ბიბლია) „კაშდიმ“ ქართებსა ნიშნავს, ხოლო „ურ-კაშდიმ“ „ურარტუს ქართებს“. ჩემის მხრივ, დავამატებ, რომ აბრაამიდების ქალდეური ტომი ურ-კარდუს სანახებიდან გადასახლდა ქანაანში, ანუ შემდგომი დროის ისრაელში და პალესტინაში, ამიტომაც



ვუწოდებთ მათ ჰურიანებს, ჰურიები, ურიები... ამიტომაც გვხვდება ებრაულ სატომო სახელებში და მათ ეთნარქებში ხშირად სუბერიდან წარმოებული სახელები: ებერი, ყებერი, თავად ებრაები, აბრაამიდები — „ებრაელი“ პირდაპირ უკავშირდება „ებერს“ და „იბერს“. ებრაელები თანდათანობით, დროთა განმავლობაში გასემიტდნენ და ამიტომაცაა მათი ენა ივრითი ღღეს სემიტური ენა.

ახლა განვიხილოთ ბიბლიური ეთნოლოგია ჩვენთვის საინტერესო იაფეტთან მიმართებაში. ძველ აღთქმაში წერია, იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი (მიდია), იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი (ანუ თირამი). შემდეგ, იავანის ძენი: ელიშა, თარშიში, (ანუ თარში), ქითიმი და დოდანამი. გომერის (კიმერის) ძენი: ასკენაზი, რიფათი და თოგარმა. (დაბადება. თავი 10 მ.2-4)

როგორც ვხედავთ, ბიბლიური ეთნოლოგია არის ებრაელი ქურუმების მიერ დაწერილი მაშინდელი ხალხისა და სახელმწიფოების გეოგრაფიული განლაგება, რასაც სწვდებოდა მათი მაშინდელი მონაცემები.

ისრაელიდან ჩრდილოეთით მდებარე ხალხთა თავკაცებად მოიხსენიებიან გომერი და იავანი თავიანთი შთამომავლობით, შთამომავლობითი შტო იაფეთის ძეთაგან მხოლოდ იავანსა და გომერს გააჩნია. „გომერი“ სიმბოლოა, კრებსითი სახელია მთელი ინდო-ევროპული მოდგმის ხალხებისა, განსაკუთრებით კი კიმერიელებისა. ბიბლიური ეთნონიმი „გომერ“ (ასურული „გიმარაი“) იგივეა რაც ინდოევროპული ტერმინი „კიმირიელი“.

ეთნარქი იავანი ბიბლიაში ნიშნავს არარატის სანახებში მდებარე „ვანის სამეფოს“, რომელიც გამოცხადებულია ბიბლიაში იბერიულ-კავკასიური მოდგმის თავკაცად. მის ძმებად არის მოსენიებული იბერიულ-კავკასიური ტომები თუბალი და მეშექი (მესხები), რომელთა წარმომავლობაზე ბევრი ითქვა.

იაფეტის სხვა ძეა „მაგოგი“. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი „მაგოგს“ მაშინ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სკვითებთან აკავშირებდა. შემდეგ „მაგოგი“ სლავური ტომების მისამართით გამოიყენებოდა და საბოლოოდაც, იოანე მოციქულის აპოკალიფსში რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს დაუკავშირდა, ანუ თანამედროვე რუსეთს.

საერთოდ, „მაგოგი“ არაებრაული სიტყვა. ზოგი თეოლოგის აზრით, მისი ეტიმოლოგია მონგოლური რასის ხალხს უკავშირდება, მათგან იღებს სათავეს; ზოგი — ჩინურ სიტყვა „მონგ-ს“ უკავშირებს, რომელიც ნიშნავს ბარბაროსს, დამპყრობს. სწორედ ძველმა ჩინელებმა, რომლებიც თავადაც მონგოლოიდურ რასას ეკუთვნიან, „მონგი“, ბარბაროსი უწოდეს მონგოლური წარმოშობის თურანულ-მონღოლურ ხალხებს, ჰუნებს, რომლებიც მაშინ ჩინეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით სახლობდნენ. ეს იყო მომთაბარე ხალხი და მათგან თავდასაცავად, მათი გაუთავებელი თავდასხმების გამო ააგეს ჩინელებმა ჩინური კედელი.

ეზეკიელის დროს, „მაგოგი“ უკვე თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების მისამართით გამოიყენებოდა.

„მადაი“ მიდიელებს ნიშნავს, ხოლო „თირასი“ ანუ „თირამი“, იგივე „ხირამი“ კი ხირამელებს ე.ი ძველ ფინიკიელებს, თუმცა იოსებ ფლავიუსი იაფეტის ძე თირასს ბალკანეთის აღმისავლეთით მცხოვრებ ინდო-ევროპელ ფრაკიელებთან აიგივებდა, იგივე თრაკილებთან (დაახლოებით, დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიები).

გომერის ძე არის ასკენაზი. „ასკენაზი“ — გერმანული ტომების ბიბლიური სახელწოდებაა, რომელიც თავისი ეტიმოლოგიით ასევე დიდი სკვითური ტომების ერთ-ერთი შტოს, ირანო-გერმანელების სკვითური ტომებიდან უნდა იღებდეს სათავეს.

„რიფათი“ — იოსებ ფლავიუსი მას ინდო-ევროპულ ტომებთან, პაფლაგონიელებთან აკავშირებდა, რომლებიც მცირე აზიაში გამოჩდნენ. ზოგი ვერსიით, ანგლო-საქსური ტომები იგულისხმება, სადაც ერთ დროს კელტები ცხოვრობდნენ.

„თოგარმა“ სომეხთა წინაპარ კიმირიელებს ნიშნავს. ეს ტომები ევროპიდან, თრაკიის ტერიტორიებიდან გადასახლდნენ მცირე აზიაში, ფრიგიის ტერიტორიაზე და აქ გაბატონდნენ. სწორედ ამ ფრიგიის ტერიტორიებიდან არიან სომეხთა წინაპრები მოსული არარატის სანახებში და თანამედროვე სომხეთის ტერიტორიებზე.

(გაგრძელება იქნება)



„მფრინავი კუნძულები“ განათლების სისტემაში

ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობანი“ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მფრინავი კუნძულის აღწერას, რომელზედაც მკვიდრობენ შემზარავი გარეგნობის ადამიანები; ტანსაცმელი ცის მანათობლებითა და მუსიკალური იარაღებით აქვთ მოჩითული. სვიფტი მათ ლაპუტებს უწოდებს. ისინი არიან მეცნიერები. აქ ცხოვრობს მეფეც, რომელიც აგრეთვე დიდი სწავლულია; იგი აქედან განაგებს თავის სამფლობელოს, რომელიც ხმელეთზეა. მფრინავი კუნძული მოძრაობს. მას აჩერებენ იქ, სადაც საჭიროა გადასახადების აღება. თუ ხელქვეითები გადასახადებზე უარს აცხადებენ, მაშინ მათ ქვებს აყრიან თავზე. მწერალი დასცინის ყოფიერებისაგან მოწყვეტილ მეცნიერებას და მმართველობის სისტემას.

განათლებისა და მეცნიერების გარდაქმნა გზას ასდცა, როდესაც ცრუ სწავლულთა ქმედებებით რეფორმის თვითკმარ პრინციპებს გადაუხვია. პროფანმა შეიძლება მითხრას, მდგომარეობას უფრო უარესს ხატავ, ვიდრე ნამდვილად არისო. არა მგონია, ასე იყოს. მე მხოლოდ გამოვყოფ რეფორმის ინტერდისციპლინარული ხასიათის იმ ნაკლოვანებას, რაზედაც ბევრი ფსევდომეცნიერი თვალს ხუჭავს. ერთი ნიშანი არამდგრადობისა ის არის, როცა რომელიმე ხელისუფლების ინსტიტუცია დაიწყებს სიახლის დანერგვას და აღარ ამთავრებს. დიდი ამბითა და ზარ-ზეიმით დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ძნელია. დღესასწაულით საქმის დაგვირგვინებას აღნიშნავენ. ევროპოცენტრისტული მოდელების პწკარედული გადმოღება სიკარგის მაჩვენებელი როდია. ასე რომ იყოს, მაშინ ყველაზე მოსაწონი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გახსნილი ათი ათასი აკადემია და უნივერსიტეტი იქნებოდა. უამრავი ტრივიალური სასწავლებელი, გარდა იმისა, რომ მოხვეჭითაა დაკავებული, ელემენტარული, მეცნიერული ცოდნის შეთვისებაში არ ეხმარება სტუდენტს. სუბვერსიული სულისკვეთებით განმსჭვალული კვაზიმეცნიერები, მესვეურთა წაქეზებით, მხოლოდ და მხოლოდ სწავლის ქირაზე ელაპარაკებიან სტუდენტებს. სხვისი ნაწერებით შენიღბული პროფესორებისთვის უცხოა საგნის ზეპირად გადმოცემის ვალდებულება, რის გამოც, ფაქტობრივად, ვიღებთ კომუნისტური ეპოქის საშუალო სკოლების მსგავს „კარნახის გაკვეთილებს“.

დეზინტეგრაციის მიმდევარ პროფესორთა ცნობიერებაში მოლივლიოვე „მაქსიმებმა“ გაზარდეს უკმაყოფილება და გამოიწვიეს „ვარსკვლავთა ვერ შობის“ მიზეზთა დევალვაცია. ამიტომ ვითომმეცნიერმა ყურადღება უნდა მიაპყროს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ: იცოდე შენი საგანი; ხედავდე სტუდენტთა სახეებზე მათ ფიქრს; დააჩვიე სტუდენტი მსჯელობას, მიხვედრას, მტკიცების წესსა და რიგს; ჩაატარე ნამდვილი ლექცია და ნუ მოახვევ სტუდენტს ცალფულად ღირებულ აზრს.

ნუგზარ გულორდავა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა
კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— ისჯება თუ არა შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირი დანაშაულის ჩადენისათვის?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 35. შეზღუდული შერაცხადობა

1. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

2. შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

* * *

— რა სახის სასჯელები შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის ჩადენისათვის?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 40. სასჯელის სახეები

სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) საზოგადოებისათვის საარგებლო შრომა;

დ) გამასწორებელი სამუშაო;

ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;

ვ) თავისუფლების შეზღუდვა;

ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ი) ქონების ჩამორთმევა.

— გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

— საზოგადოებისათვის საარგებლო შრომა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

21. ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

იურიდიული პირის სასჯელის სახეები განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

მუხლი 1073.

იურიდიული პირის სასჯელის სახეებია:

ა) ლიკვიდაცია;

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) ჯარიმა;

დ) ქონების ჩამორთმევა.

2. ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

3. ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. 4. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

* * *

— რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

გამოჩენილი მამების შვილები

დიეგო კოლუმბი

ქრისტოფერ კოლუმბის უფროსი ვაჟი დაახლოებით 1479 წელს დაიბადა. ამერიკის აღმოჩენის დროისთვის იგი უკვე სამეფო კარზე პაჟი იყო. იგი და მისი მემკვიდრეები კოლუმბმა ყველა თავისი პრივილეგიის მფლობელებად აღიარა. რაც სიცოცხლის ბოლომდე მთელი ამერიკის ვიცე-მეფობას, მექსიკის ყურის აკვატორიაში ფლოტის მთავარსარდლობას და კოლონიიდან მიღებული ყველა მოგების 10%-ის ფლობას ნიშნავდა. თუმცა, თავად კოლუმბი დაადანაშაულეს ძალაუფლების გადამეტებასა და ხაზინის ძარცვაში და ამერიკის აღმოჩენის გამო მინიჭებული ყველა უფლება ჩამოართვეს. დიეგომ მთელი ცხოვრება სასამართლოებსა და სამეფო კარზე მისთვის მინიჭებული უფლებების დაცვას მოანდომა. გარკვეულწილად, მას დიდი გავლენის მქონე ჰერცოგ დე ტოლედოს ქალიშვილის, ჰერცოგ ალბას ნათესავის, ცოლად შერთვა დაეხმარა. ოჯახის გავლენის წყალობით 1511 წელს დიეგოს უფლებები ნაწილობრივ აღიარეს. იგი ესპანიელაზე ვიცე-მეფედ დაინიშნა. მისი მმართველობის ქვეშ იყო კუბა, პუერტო რიკო და იამაიკა.

თუმცა, საბოლოოდ მან მამის ბედი გაიზიარა. რადგან მის მმართველობას მუდმივად გაუთავებელი გამოძიება და სასამართლო პროცესები ახლდა, იმის გამო, რომ დიეგო კოლონიალური ადმინისტრაციის წარმომადგენელებისგან განსხვავებით, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს აღიარებდა. 1520 წელს, აფრიკიდან შეყვანილი მონების აჯანყების გამო მას მემკვიდრეობით მიღებული ყველა უფლება ჩამოერთვა. 1536 წელს, კოლუმბის ოჯახს მეფის სპეციალური გადაწყვეტილებით, საბოლოოდ ჩამოერთვა ქრისტეფორესთვის მინიჭებული ყველა პრივილეგია.

ვინჩენცო გალილეი

1606 წელს დაბადებული, ბაბუის პატივსაცემად ვინჩენცოდ წოდებული ჩვილი გალილეო გალილეის უკანონოდ შობილი შვილი იყო, რადგან მისი მშობლები ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. 1616 წელს გალილეომ ვაჟი ოფიციალურად აღიარა შვილად. ყმაწვილი იურისპრუდენციის უნივერსიტეტში მიაბარეს სასწავლებლად, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც ბაბუის პროფესია აირჩია — იგი მუსიკოსი და მუსიკალური ინსტრუმენტების ოსტატი გახდა. მამასთან ძალიან ბობოქარი ურთიერთობები ჰქონდა, ძირითადად, ფულის საკითხთან დაკავშირებით. მათი ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, როცა

გალილეო გაასამართლეს. შემონახულია ვინჩენცოს წერილები მამისადმი, რომლებიც განმსჭვალულია თანაგრძნობით. შემონახული პორტრეტებით კი აშკარა ხდება, რომ ვინჩენცო ყველანაირად ცდილობდა მამასთან მისი მსგავსებისთვის გაესვა ხაზი.

იოჰან ქრისტოფ ფრიდრიჰ ბახი

იოჰან სებასტიან ბახის ორივე ბაბუა, ბიძა, ნათესავები, მამა, შვილები და შვილიშვილები მუსიკოსები და კომპოზიტორები იყვნენ (ბახების გვარში დაახლოებით 80 მუსიკოსი იყო). ისინი საკმაოდ ცნობილი ადამიანები იყვნენ და მათ ღირსეულად აფასებდნენ სამეფო კარზე თუ ქალაქის საბჭოებში. ბახის სახელმა განსაკუთრებით კეთილი გავლენა მოახდინა მის შვილებზე. მათ ყველგან სიამოვნებით იღებდნენ კარის მუსიკოსებად. იოჰან ბახის ექვსი ვაჟიშვილიდან იოჰან ქრისტოფი ყველაზე ნიჭიერად მიიჩნევა. მისი ნაწარმოებებს დღესაც მოისმენთ ეკლესიებში. იგი ტიპიური ვუნდერკინდი იყო — 15 წლის ასაკში უკვე ჰერცოგ შაუმბერგ-ლიპეს კარის სამეფო მუსიკოსი გახლდათ, რის გამოც მას ბიუკერბურგელ ბახს უწოდებენ. იოჰან კრისტოფის ვაჟიც ცნობილი კომპოზიტორი გახდა.

ნაპოლეონ ფრანსუა იოზეფ შარლ ბონაპარტი

ნაპოლეონისა და მარია-ლუიზა ავსტრიელის ვაჟი მამის დამარცხებისა და ჩამოგდების შემდეგ ვენაში გაემგზავრა, სადაც მშვიდი და შეუმჩნეველი ცხოვრება განვლო. მისი არსებობა გახდა მიზეზი იმისა, რომ კურთხევისას ლუი ნაპოლეონი იძულებული გახდა, არა ნაპოლეონ II, არამედ ნაპოლეონ III წოდებულიყო. ყველაზე საინტერესო მოვლენა კი მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, 1940 წელს მოხდა, პარიზში ინვალიდთა სახლში ნაპოლეონის დასაფლავებიდან ასი წლის შემდეგ. ჰიტლერის ბრძანებით მისი ნეშტის ნაწილები პარიზში გადაიტანეს და მამის საფლავის გვერდით დამარხეს.

რობერტ ტოდ ლინკოლნი

აბრაამ ლინკოლნის ერთადერთმა ვაჟმა, რომელმაც ზრდასრულობის ასაკს მიაღწია, დედის სურვილისა და ძალისხმევის მიუხედავად მიატოვა სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში და არმიაში ჩაეწერა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის ოჯახის გავლენა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რობერტი უშუალო სამხედრო მოქმედებებში არ ჩართულიყო, თუმცა ამან მშობლებთან მისი ურთიერთობის გაუმჯობესებაზე გავლენა ვერ მოახდინა. ბოლოს იგი ადვოკატი გახდა და მუდმივად უარს ამბობდა პრეზიდენტობის ყოველი ახალი კანდიდატის წამოყენებისას მისთვის ქვეყნის ვიცეპრეზიდენტობის თანამდებობის შეთავაზებაზე. თუმცა პრეზიდენტ გარფილდის დროს იგი თავდაცვის მინისტრი გახლდათ, ხოლო მისი მოკვლის შემდეგ კი პრეზიდენტ

არტურის მმართველობის დროს.

რობერტ ლინკოლნი ერთადერთი ადამიანია, რომელიც სამი პრეზიდენტის მკვლელობის მომსწრე გახდა. იგი იმყოფებოდა მამის — აბრაამ ლინკოლნის გვერდით ლოჟაში, როცა იგი ჯონ ბუტმა მოკლა. ის ესაუბრებოდა პრეზიდენტ გარფილდს, ზუსტად იმ წუთამდე, ვიდრე შარლ გიტომ მოკლა და იმყოფებოდა იმ დარბაზში, სადაც ახალ არჩეული პრეზიდენტი მაკ კინლი ლეონ ჩელგოშმა მოკლა.

ერნსტ ფროიდი

ზიგმუნდ ფროიდის მესამე ვაჟი, ყველაზე უმცროსი მისი ექვსი შვილიდან, ყველაზე ცნობილი ადამიანი გახდა. მიუხედავად მამის პროფესიისა, ფროიდის ოჯახი ძალზე ნორმალური იყო. თუმცა, არც ერთმა შვილმა არ მოინდომა მამის საქმის გაგრძელება. ერნსტი ფრიად წარმატებული არქიტექტორი გახდა, თუმცა, მედიცინას მის ცხოვრებაში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა — იგი აპროექტებდა საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს და ა.შ. მის მიერ დაპროექტებული რამდენიმე შენობა შენარჩუნებულია, როგორც არქიტექტურის ძეგლები, მათ შორისაა ფროიდის მუზეუმი ლონდონში.

ჰანს ალბერტ აინშტაინი

ჰანსი მაშინ დაიბადა, როცა აინშტაინი საპატენტო ბიუროში მუშაობდა. აინშტაინს XIX საუკუნეში რომ ეცხოვრა, ვაჟთან მის დამოკიდებულებას ვიქტორიანულს უწოდებდნენ. ერთის მხრივ, მამა თითქმის არ იღებდა მონაწილეობას ვაჟიშვილის აღზრდაში, მეორეს მხრივ კი მამის ავტორიტეტი ოჯახში კა-

მათს არ იწვევდა. მთლიანად ურთიერთობა მამა-შვილს შორის ახლობლური სულაც არ იყო. მაგრამ ჰანსმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გეოლოგიაში ნიადაგის ეროზიის საკითხებზე. ამერიკაში გადასვლის შემდეგ იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მუშაობდა, ამასთან, იმდენად წარმატებულად, რომ ამერიკის სამოქალაქო ინჟინრების საზოგადოებამ მისი გარდაცვალების შემდეგ დააწესა ჰანს აინშტაინის სახელობის პრემია, რომელსაც ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებისთვის ანიჭებენ.

შემონახულია აინშტაინის წერილები, რომლებშიც იგი საქმიანობის სფეროში ვაჟიშვილის წარმატებებით ამაყობს.

რანდოლფ ჩერჩილი

რანდოლფი უინსტონ ჩერჩილის შვილებიდან ერთადერთია, რომელმაც ოქსფორდში სწავლა არ დაასრულა და ჟურნალისტობა მოინდომა. თუმცა იგი სახელგანთქმული არა საქმიანობით, არამედ მრავალრიცხოვანი სასიყვარულო ისტორიებით გახდა. მას მამასავით პრემიერ-მინისტრობა სურდა, თუმცა მისი პოლიტიკური კარიერა წარმატებული არ ყოფილა. იგი მხოლოდ მესამე

ცდაზე გახდა წარმომადგენელთა პალატის წევრი 1940 წელს. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში იგი არც მხარდაჭერით და არც პოპულარობით არ სარგებლობდა, რაც მისი რთული და ფეთქებადი ხასიათით იყო გამოწვეული. მეორე მსოფლიო ომის დროს რანდოლფი არმიაში მსახურობდა და პარაშუტითაც გადმოხტა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ბოგოსლოვიისა და ლიბიის ტერიტორიებზე.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა